პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური და ტფ. კომიტეტების და ცაკის ორგანო.

ფასი 10 კაპ.

შაბათი
14
დეკემბერი
1935 წ
№ 288 (4444)

> სტახანოვური მოძრაობა ორგანულად დაკავშირებულია ახალ ტექნიკასთან, რომ არ გვქონოდა ახალი ტექნიკა, არ გვქონოდა ახალი ფაბრიკები და ქარხნები, არ გვქონოდა ახალი მოწყობილობა, ისე სტახანოვური მოძრაობა ჩვენში ვერ ჩაისახებოდა.
>
> ი. სტალინი

კომუნისტების როლი ტექნიკის დაუფლებაში

სულ ბევრი—ათ წელიწადში მაინც უნდა გავირბინოთ ის მანძილი, რომლითაც ჩვენ კაპიტალიზმის მოწინავე ქვეყნებს ჩამოვრჩით,—ასეთი ამოცანა დაგვისახა ხალხთა დიდმა ბელადმა, საბჭოთა ქვეყნის ტექნიკური რეკონსტრუქციის გენიოსურმა ორგანიზატორმა ამხანაგმა სტალინმა რამდენიმე წლის წინათ.

ჩვენი ქვეყანა გაბედულად წავიდა ინდუსტრიალიზაციისა და კოლექტივიზაციის გზით. შევქმენით მძლავრი სოციალისტური მრეწველობა, მსხვილი და მექანიზებული სოფლის მეურნეობა. სწრაფი აღმავლობის გზით მიდის ტრანსპორტი. მეორე ხუთწლედის ბოლოს ჩვენ დავამთავრებთ მთელი სახალხო მეურნეობის ტექნიკურ რეკონსტრუქციას.

და მას შემდეგ რაც უკვე ვსძლიეთ შიმშილი ტექნიკის დარგში, ახალი ვითარების პირობებში დიდმა ბელადმა მოგვიწოდა მზრუნველობით გამოვზარდოთ ადამიანები, ახალი კადრები, „რომელთაც შეუძლიათ ტექნიკის დაუფლება და მისი წინწაწევა... რომ გამოსწოვონ ტექნიკას იმის მაქსიმუმი, რისი გამოწოვაც კი შეიძლება მისგან“.

ამ მითითების პასუხი იყო სტახანოვის, ბუსიგინის, სმეტანინის და ვინოგრადოვების, პრონინის და კრივონოსის შრომის უმაღლესი ნაყოფიერების სარეკორდო მაჩვენებლები, სტახანოვური მოძრაობის სახით ჩვენი ქვეყნის ყოველ კუთხეს რომ მოედო.

რა ცხოველმყოფელი და უძლეველი ხდება ეს მოძრაობა. რა გაუგონარი სისწრაფით ვითარდება იგი. ეს ხომ წარმოუდგენელი იქნებოდა ახალი და უმაღლესი ტექნიკის უქონლად, იმ ტექნიკისა, რომელსაც დაუფლებიან ჩვენი ქვეყნის შრომის გმირები, ახალი ადამიანები!

კაპიტალისტურ ქვეყნებში ტექნიკის განვითარებას და კაპიტალისტურ რაციონალიზაციას მოსდევს უმუშევრობა, შიმშილობა, გაჭირვება. იქ მანქანა ბატონობს ადამიანზე. ადამიანი მანქანის უბრალო დამატებაა. მანქანა მუშათა კლასის ექსპლოატაციის საშუალებაა ბურჟუაზიისთვის.

ჩვენ კი სოციალიზმს ვაშენებთ, ვამზადებთ პირობებს სოციალიზმიდან კომუნიზმზე გადასასვლელად. ჩვენში ღარიბი ხალხი აღარ არის. მანქანას, ტექნიკას, განაგებს და მართავს ადამიანი. ძირფესვიანად გაუმჯობესდა მუშათა მატერიალური მდგომარეობა, ცხოვრება უფრო სამხიარული გახდა. ტექნიკური კადრების გამოზრდის საქმე ბუმბერაზული ნაბიჯით წავიდა წინ.

ჩვენ გვჭირია ტექნიკას დაუფლებული ადამიანები, რომ „ავამოძრაოთ ტექნიკა და ბოლომდე მივიყვანოთ ის... საჭირო არიან კადრები, რომელთაც შესწევთ უნარი აითვისონ და გამოიყენონ ეს ტექნიკა ხელოვნების მთელი ოსტატობით“ (სტალინი) ეს არის ახლა თავიდათავი, უმთავრესი ამოცანა.

საქ. კ.პ. (ბ) ტფილისის კომიტეტის მიერ 11 მსხვილ საწარმოს შემოწმებამ გვიჩვენა, რომ ამ მხრივ დიდ მიღწევებს გარდა—გვაქვს ნაკლოვანებანიც. ეს მდგომარეობს იმაში, რომ კომუნისტების ავანგარდული როლი ყველგან ვერ არის უზრუნველყოფილი, კომუნისტები ბევრ შემთხვევაში ჩამორჩებიან კიდეც.

სტახანოვურ მოძრაობაში ჯერ კიდევ ნაკლებად არიან ჩაბმულნი კომუნისტები, კომკავშირელნი და თანამგრძნობნი. ამის მიზეზია მათი ტექნიკური მოუმზადებლობა. სტახანოვური მოძრაობა კი აუცილებლად დაკავშირებულია ახალ ტექნიკასთან. უმაღლეს ტექნიკის დაუფლებასთან.

ტფილისის ცალკეულ ქარხნებში ასეთი მდგომარეობაა. 26 კომუნარის ქარხნის წარმოებაში მომუშავე 91 კომუნისტიდან ტექგამოცდა ჩააბარა მხოლოდ 24 პროც. და კომკავშირლების 60 პროც. არც ერთ კომუნისტს გამოცდა „ფრიადზე“ არ ჩაუბარებია. სახ. ავტოსარემონტო ქარხანაში მომუშავე 76 კომუნისტიდან ტექგამოცდა მხოლოდ სამმა კაცმა ჩააბარა, ე. ი. 4 პროც. ნაკლებმა, 100 კომკავშირელში კი 5 პროცენტმა. მაუდის ფაბრიკის 154 კომუნისტიდან ტექგამოცდა ჩააბარა მხოლოდ 28 პროც. მათში „ფრიადზე“ 20, ხოლო 842 უპარტიოში ტექგამოცდა 430 კაცმა, ე. ი. 51 პროც. ჩააბარა, აქედან „ფრიადზე“—60 კაცმა.

მაგალითების გამრავლება კიდევ შეიძლებოდა, მაგრამ საილუსტრაციოდ ესეც კმარა. აღსანიშნავია, რომ იმავე 11 საწარმოში დარჩენილ 480 კომუნისტიდან ამჟამად ტექნიკურ სწავლებაში ჩაბმულია მხოლოდ 53 კაცი, ოთხასზე მეტი კომუნისტი კი ტექნიკური სწავლების გარეშეა. მდგომარეობის ასე განგრძობა შეუძლებელია.

ბოლშევიკური პარტია ავანგარდია მუშათა კლასისა, პარტია წინ მიუძღვის და რაზმავს მუშათა კლასს, კოლმეურნეებს, ხელმძღვანელობს სტახანოვურ მოძრაობას. პარტიის წესდება მოითხოვს თვითეული კომუნისტისაგან, რომ ის იყოს მაგალითის მიმცემი სახელმწიფო და შრომის დისციპლინის დაცვაში; იგი უნდა დაეუფლოს თავის საქმის ტექნიკას, განუწყვეტლივ აამაღლოს თავისი საწარმოო კვალიფიკაცია.

ტექნიკის დაუფლებისა და სწავლების საკითხი წარმოადგენს კომუნისტებს შორის პარტიული მუშაობის ერთერთ უმნიშვნელოვან უბანს. და თუ გვინდა პრაქტიკის ძალით კომუნისტები მოწინავენი იყვნენ მუშებში, კოლმეურნეებში, რკინიგზელებში, ყველგან და ყოველთვის, საფუძვლიანად უნდა დავეუფლოთ ტექნიკას. ლოზუნგი „ბოლშევიკები უნდა დაეუფლნენ ტექნიკას“ სტახანოვურ მოძრაობასთან დაკავშირებით განსაკუთრებული სიძლიერით დაისვა ჩვენს წინაშე.

მართალია, კადრები ყოველდღიურად იზრდებიან ჩვენში, მაგრამ არსებული კადრები როდი კმარა. ტექნიკას ყველაზე უწინ თვით კომუნისტი უნდა დაეუფლოს. კომუნისტები ყველგან ავანგარდში უნდა იდგნენ. პარტკომებმა და პარტორგებმა, მთლიანად პარტორგანიზაციამ, ტექნიკური ცოდნით თვითეული კომუნისტის შეარაღებას უნდა მიაქციოს განსაკუთრებული ყურადღება.

სტახანოვური „მოძრაობა — ამბობს ამხანაგი სტალინი—ამსხვრევს ძველ შეხედულებებს ტექნიკაზე ამსხვრევს ძველ ტექნიკურ ნორმებს ძველ საპროექტო სიმძლავრეს. ძველ საწარმოო გეგმებს და მოითხოვს ახალი, უფრო მაღალი ტექნიკური ნორმების, საპროექტო სიმძლავრეების, საწარმოო გეგმების შექმნას. ის მოწოდებულია რევოლუცია მოახდინოს ჩვენს მრეწველობაში“. ჩვენი პარტორგანიზაციების და ყველა კომუნისტის ამოცანაა ამ უდიდეს რევოლუციურ ბრძოლაში ყოველთვის ავანგარდი იყოს.

უნდა გავაფართოოთ კომუნისტის ჰორიზონტი. პარტსწავლებასა და ტექწრეებში ჩაბმა არ კმარა. საქმე ისე უნდა მოვაწყოთ, რომ თვითეულმა კომუნისტმა შეისწავლოს მარქსის, ენგელსის, ლენინის და სტალინის მოძღვრება ტექნიკის შესახებ, რათა ამით უკეთ გაიკაფოს გზა მანქანის მთლიანად და ყოველმხრივ ათვისებისკენ.

კომუნისტური პარტია მუშათა კლასის ავანგარდია. სოციალიზმისათვის ბრძოლაში კომუნისტი ავანგარდულ როლს ასრულებს. კერძოთ, საბჭოთა მოწინავე ტექნიკის დაუფლების საქმეშიც კომუნისტი უნდა იდგეს ავანგარდში, ის სათავეში უნდა უდგეს სტახანოვურ მოძრაობას ამისათვის საჭიროა თვითონ კომუნისტი დაეუფლოს ტექნიკას, შეიარაღდეს ტექნიკური ცოდნით.

უნდა უზრუნველვყოთ კომუნისტების ავანგარდული როლი ტექნიკის დაუფლებაში!

„ტყიბული უნდა ჩადგეს მოწინავეთა რიგებში“

ტყიბული, 12 დეკემბერი. მაღაროებში უკანასკნელ დროს მდგომარეობა გაუმჯობესდა. 11 დეკემბერს ორივე მაღაროში ამოღებულ იქნა 1128 ტონა ნახშირი—დღიური დავალების 92,2 პროცენტი. მათ შორის სტალინის სახელობის მაღარომ ამოიღო 525 ტონა—95 პროცენტი დღიური დავალებისა, ლენინისამ 603 ტონა—89,6 პროცენტი.

□ □ □

თათბირი მიწსახკომში

გუშინ, 13 დეკემბრის საღამოს მიწსახკომში ამხ. შ. მათიკაშვილის თავმჯდომარეობით გაიხსნა საქართველოს მოწინავე მტს-ების, აგრეთვე შირაქისა და ალაზნის საბჭოთა მეურნეობების მოწინავე ტრაქტორისტების, ტრაქტორისტთა ბრიგადირების და სალეწთა მემანქანეების თათბირი. აქვე არიან გამოწვეული მტს-ების დირექტორები და უფროსი მექანიკოსები.

თათბირს ესწრებიან მიწსახკომის, სამტრესტის სამმართველოთა უფროსები, სპეციალისტები და სას.-სამეურნეო ინსტიტუტის სწავლული მუშაკები.

თათბირის მიზანია—გაეცნოს მოწინავე ტრაქტორისტების, ბრიგადირების და მემანქანეების იმ მიღწევებს და გამოცდილებას, რომელიც მათ მოიპოვეს მუშაობის დროს შრომის ნაყოფიერების გადიდებაში.

თათბირზე ამხ. შ. მათიკაშვილის შესავალი სიტყვის შემდეგ გამოვიდნენ: ამხ. რ. მაისაშვილი (შირაქის (საბჭოთა მეურნეობის ტრაქტორისტი), გ. ჩუბინიძე (ლაგოდეხის მტს-ის ტრაქტორისტთა ბრიგადირი), ა. მოსაშვილი (ულიანოვკის მტს-ის ტრაქტორისტთა ბრიგადირი), ტიტვინიძე (აგარის მტს-ის ბრიგადირი) და წნორის მტს-ის უფ. მექანიკოსი უ. ქერეჟაშვილი.

ამით დამთავრდა თათბირის პირველი სხდომა. თათბირის მეორე სხდომა გაიხსნება დღეს, დილის 10 საათზე.

დაწვრილებითი ანგარიში მოთავსებული იქნება ჩვენი გაზეთის უახლოეს ნომერში.

□ □ □

მანდარინის დამზადება

დამზადებულია 174.477·000 ცალი მანდარინი

სახკომსაბჭოსთან არსებული დამზადების კომიტეტის 13 დეკემბრის ცნობით.

რაიონები	დამზადებულია	გეგმის შესრულება პროცენტ.
აჭარისტანის სსრ	140.118.000	116,7
აფხაზეთის სსრ	11,030,000	100,3
მახარაძის რაიონი	17,500,000	116,7
ლანჩხუთის რაიონი	3,614,000	120,5
ჩოხატაურის რაიონი	123,000	30,8
ფოთის რაიონი	809,000	80,9
ზუგდიდის რაიონი	865,000	144,2
ცხაკაიას რაიონი	418,000	119,4
სულ	174.477.000	116,3 %

იტალია-აბისინიის ომი

უკმაყოფილება ინგლის-საფრანგეთის პროექტის გამო

ლონდონი, 12 დეკემბერი. ინგლისში, როგორც მთავრობის ბლოკის პარტიებში, ისე ოპოზიციურ პარტიებში, იზრდება უკმაყოფილება ინგლის-საფრანგეთის იმ პროექტის გამო, რომელიც იტალია-აბისინიის კონფლიქტის მოგვარებას შეეხება. მთავრობის ბლოკის რვა დეპუტატმა განაცხადა, რომ ისინი თემთა პალატაში შეიტანენ რეზოლუციას. ამ რეზოლუციაში ნათქვამი იქნება, რომ თემთა პალატას არ შეუძლია დასთანხმდეს იტალია-აბისინიის კონფლიქტის ისე მოგვარებას, რომ ამან დაარღვიოს ინგლისის საერთაშორისო ვალდებულებანი, რომლებიც ერთა ლიგის წესდებიდან გამომდინარეობენ, და აგრესორ სახელმწიფოს მიანიჭოს გაცილებით მეტი უპირატესობანი, ვიდრე მას შეეძლო საზავო მოლაპარაკების შედეგად მიეღო. ამ რეზოლუციას ხელი მოაწერეს ადამსმა, ბუტბიმ და სხვებმა.

„ტაიმსმა“ გამოაქვეყნა თემთა პალატის წევრის სენდისის (უინსტონ ჩერჩილის სიძე) წერილი, აგრეთვე სამხრეთ-აფრიკელი მრეწველის ბეილის და „ვერაქსის“ ფსევდონიმს ამოფარებული ანონიმ კორესპონდენტის წერილი. ბეილი აცხადებს, რომ ინგლისის მთავრობის მოქმედება გულს უტეხს მცირე ქვეყნებს, მათ შორის ბრიტანეთის დომინიონებსაც, რომლებიც ფიქრობენ, რომ ეს გარემოება სხვა აგრესორებსაც აქეზებს. ვერაქსი აცხადებს, რომ ინგლისის მთავრობის გადაწყვეტილება უდიდეს ზიანს აყენებს ბრიტანეთის პრესტიჟს და ყველაზე მეტი საფრთხე იმაში მდგომარეობს, რომ ეს აქეზებს ევროპის ყოველ მძლავრად შეიარაღებულ ქვეყანას—დაუყოვნებლივ ისარგებლოს შემთხვევით, რათა განახორციელოს თავისი ზრახვები ძალის გამოყენების გზით.

„დეილი ტელეგრაფი“ აქვეყნებს ვექილ ევანსის პროტესტს „შეიარაღებული აგრესიისათვის წინააღმდეგობის გაწევის შესუსტების გამო

მთავრობის ბანაკის პროვინციალური გაზეთებიც სასტიკად ილაშქრებენ ინგლის-საფრანგეთის პროექტის წინააღმდეგ.

„დეილი მეილიც“ კი აღნიშნავს, „კრიზისის ატმოსფერო შეიქმნა“ და ბოლდუინმა „თავის მომხრეებს შორისაც კი გამოიწვია შეშფოთებაო“.

„მანჩესტერ გარდიანი“ სწერს, თემთა პალატაში ბოლდუინის გამოსვლის შემდეგ დეპუტატები დარწმუნდნენ, რომ პარიზის ვერსია იტალია-აბისინიის კონფლიქტის მოგვარების შესახებ ძირითადად სწორიაო. კონსერვატიულ პარტიაში სამი მიმდინარეობაა. მემარჯვენენი და ცენტრი იწონებენ პარიზის პირობებს „მემარცხენე“ კონსერვატორებს კი ეს პირობები მიუღებლად მიაჩნიათ. „კონსერვატიული პარტიის დიდი ნაწილი,—სწერს გაზეთი,—იწონებს წინადადებებს, ვინაიდან ფიქრობს, რომ ისინი იძლევიან იტალიასთან ურთიერთობის მოგვარებისა და სანქციების შეწყვეტის, ხოლო, რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია—ერთა ლიგის არსებობის შეწყვეტის პერსპექტივას. მათ ძალიან კარგად გამოიყენეს ერთა ლიგა არჩევნების დროს, მაგრამ ისინი მაინცდამაინც ძალიან არასოდეს არ ზრუნავდნენ ლიგაზე და მოხარული იქნებოდნენ, რომ იგი კრახს განიცდიდეს“ (ადს).

□

ინგლის-საფრანგეთის წინადადებათა ტექსტის გადაცემა მუსოლინისათვის

რომი, 11 დეკემბერი. დღეს მუსოლინიმ მიიღო საფრანგეთის და ინგლისის ელჩები, რომლებმაც მას გადასცეს ლავალისა და ხორის მიერ შემუშავებულ წინადადებათა ტექსტი. ოფიციალურ წრეებში აცხადებენ, რომ ეს წინადადებანი უაღრესად რთულია და რომ საჭიროა მათი გულდასმით შესწავლა, ვიდრე იტალიის მთავრობა შესძლებს თავისი თვალსაზრისის გამოთქმას. ყოველ შემთხვევაში ოფიციალურ წრეებს იმედი აქვთ, რომ იტალიის მთავრობა „ხალისით აღიარებს საფრანგეთისა და ინგლისის დიდ მეცადინეობას, რაც მათ შეთანხმების შესაძლებლობათა ძიებაში გამოიჩინეს“ (ადს).

□

იტალიის მთავრობის კომუნიკე

რომი, 12 დეკემბერი. როგორც ოფიციალური კომუნიკე იუწყება, მუსოლინიმ, მიიღო რა ინგლისისა და საფრანგეთის ელჩებისაგან ლავალისა და ხორის მიერ იტალია-აბისინიის კონფლიქტის მოგვარების საკითხზე შემუშავებული წინადადებათა ტექსტები, განუცხადა ელჩებს, ვაფასებ იმ ღონისძიებებს, რომლებიც უკანასკნელ დღეებში საფრანგეთის და ინგლისის მთავრობებმა შეიმუშავეს იტალია-აბისინიის კონფლიქტის მოსაგვარებლად და შევისწავლი ამ წინადადებებსო (ადს).

„აბისინია არასოდეს არ მოახდენს კაპიტულაციას იტალიის წინაშე“

ლონდონი, 11 დეკემბერი. გუშინ აბისინიის ნეგუსმა „დეილი-ექსპრესის“ ადის-აბებელ სპეციალურ კორესპონდენტს შემდეგი განუცხადა:

„აბისინია არასოდის არ მოახდენს კაპიტულაციას იტალიის წინაშე. სიმართლე და სამართლიანობა მის მხარეზეა. აბისინიას სურს ზავი, მაგრამ ზავი საპატიო, რომელიც მას ტერიტორიის დამოუკიდებლობას და მთლიანობას შეუნარჩუნებს“.

გაზეთ „სტარის“ გადმოცემით, აბისინიის ელჩმა პარიზში ფორმალური პროტესტი განუცხადა ლავალს იმ წინადადების გამო, რომელიც გულისხმობს აბისინიის ტერიტორიის დათმობას იტალიისათვის.

როგორც „ბრიტიშ იუნაიტედ პრესს“ ჟენევიდან ატყობინებენ, იქ ფიქრობენ, რომ ხორი და ლავალი შეთანხმდნენ იმაზე, რომ იტალიაში ნავთის შეტანის აკრძალვას ძალიან საშიში შედეგები მოჰყვებოდა ევროპის პოლიტიკური მდგომარეობისათვის და ამიტომ ამჟამად არ უნდა იქნას გამოყენებული ნავთის სანქციები. შემდეგ ცნობაში ნათქვამია, რომ ინგლის-საფრანგეთის შეთანხმებამ უფრო ძლიერი ლახვარი ჩასცა ერთა ლიგას, ვიდრე სხვა რომელიმე ამბავმა იაპონიის მიერ მანჯურიის ხელში ჩაგდების შემდეგ. გაზეთის ცნობებით, მცირე ქვეყნები სახელმწიფოები ძალიან უკმაყოფილონი არიან პარიზის მოლაპარაკების შედეგებით. ისინი აცხადებენ, რომ საფრანგეთი და ინგლისი, სთავაზობენ რა „აგრესორს ჯილდოს“, ჰკლავენ კოლექტიურ სისტემას.

ლონდონი, 11 დეკემბერი. როგორც რეიტერის სააგენტოს ადის-აბებელი კორესპონდენტი იუწყება, სარწმუნო წყაროებიდან მიღებული ცნობებით, ძალიან საეჭვოა, რომ აბისინიამ დაიწყოს საზავო მოლაპარაკება მანამ, ვიდრე ერთი იტალიელი ჯარისკაცი მაინც დარჩება აბისინიის ტერიტორიაზე. (ადს).

○

აბისინიის დიპლომატიური მისიის ცნობა

პარიზი, 11 დეკემბერი. როგორც ჰავასის სააგენტო იუწყება, აბისინიის დიპლომატიურმა მისიამ პარიზში გამოაქვეყნა შემდეგი ცნობა.

„აბისინიის მთავრობამ მტკიცედ გადასწყვიტა უარჰყოს ყოველგვარი წინადადება, რომელიც ჯილდოს აძლევს აგრესორს—იტალიას და რომელიც არ სცნობს ერთა ლიგის მიერ მოწონებულ პრინციპებს. განსაკუთრებით კი აბისინიის ტერიტორიალური და პოლიტიკური მთლიანობის პრინციპს“ (ადს).

○

ლავალ-ხორის გეგმა

ჟენევა, 12 დეკემბერი. ხორისა და ლავალის მიერ პარიზში შემუშავებული წინადადებანი იტალია-აბისინიის კონფლიქტის მოგვარების შესახებ შემდეგია:

1. იტალია მიიღებს აბისინიის პროვინცია ტიგრეს, მაკალეს და მთელ რიგ სხვა პუნქტებს, გარდა აბისინიის წმინდა ქალაქ აქსუმისა.

2. ოგადენის პროვინციაში იტალიას დაეთმობა მცირეოდენი ტერიტორიები.

3. ეგრეთწოდებულ „ეკონომიურ ზონაში“ იტალიის კოლონიზაციისა და კაპიტალდაბანდებისათვის იტალიას არ ეძლევა უფლება იყოლიოს საკუთარი საპოლიციო ძალები. ეს უკანასკნელი პუნქტი წარმოადგენს იტალიის ერთერთი მთავარი წინააღმდეგობის საგანს (ადს).

○

ინგლისი ვალს არ უხდის ამერიკის შეერთებულ შტატებს

ვაშინგტონი, 11 დეკემბერი. ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო საქმეთა მინისტრმა ხელლმა გამოაქვეყნა ინგლისის მთავრობის ცნობა, რომ იგი არ შეიტანს იმ სამხედრო ვალის კადასახდელს, რომლის ვადა 15 დეკემბერს დგება (ადს).

საზღვაო კონფერენცია

იაპონიის დელეგატის მოთხოვნა.

ლონდონი, 10 დეკემბერი. რეიტერის სააგენტოს გადმოცემით, საზღვაო კონფერენციაზე იაპონიის ადმირალმა ნაგანომ გუშინ მოითხოვა იაპონიის, ამერიკის შეერთებული შტატების და ინგლისის სამხედრო-საზღვაო ძალთა თანასწორობა. ამ მოთხოვნამ დღევანდელ სხდომაზე მკაცრი უარყოფითი პასუხი გამოიწვია. დღევანდელი დილის სხდომაზე იაპონიის დელეგაციამ განიმეორა თავისი მოთხოვნები საზღვაო ფლოტის საერთო ზღვარული სიდიდის დაწესების შესახებ. ამ მოთხოვნამ დაუყოვნებლივ გამოიწვია სხვა დელეგაციების შეკითხვები, კერძოდ დაინტერესებითი შეკითხვა—უნდა გავრცელდეს თუ არა ეს ზღვარული სიდიდე ყველა ფლოტზე, მათ შორის საბჭოთა კავშირის ფლოტზედაც.

ფიქრობენ, რომ ნაგანოს განზრახული აქვს ჩამოაყალიბოს განცხადება, რომელიც შეიცავს კონფერენციის დღევანდელ სხდომაზე მიცემული შეკითხვების პასუხს. ყველა გაზეთი, აქვეყნებს რა იაპონიის დელეგაციის მოთხოვნას საზღვაო კონფერენციაზე იაპონიის, ამერიკის შეერთებული შტატების და ინგლისის სამხედრო საზღვაო ძალთა თანასწორობის შესახებ, აღნიშნავს, რომ იაპონიის მოთხოვნა ჩაშლას უქადის კონფერენციას.

შანხაი, 10 დეკემბერი. იაპონური გაზეთი „შანხაი მაინიჩი“ იხილავს რა ლონდონის საზღვაო კონფერენციის საკითხებს შორეულ აღმოსავლეთის ამბებთან დაკავშირებით, სწერს: „ჩინეთში ამბების მოულოდნელი განვითარება წარმოადგენდა იმის შედეგს, რომ ლონდონის კონფერენციაზე იაპონიის წინააღმდეგ შეიქმნა ინგლის - ამერიკის ბლოკი“. (ადს).

□

იაპონიის წინადადების განხილვა

ლონდონი, 12 დეკემბერი. საზღვაო კონფერენციის დღევანდელი სხდომის შესახებ გამოქვეყნებულ კომუნიკეში ნათქვამია, რომ გრძელდებოდა იაპონიის დელეგაციის იმ წინადადების განხილვა, რომელიც შეეხება ტონაჟის საერთო ზღვარული სიდიდის დაწესებას. განცხადებებით გამოვიდნენ ამერიკის შეერთებული შტატების, ავსტრალიის, კანადის, საფრანგეთის, ინგლისის, იტალიის და სამხრეთ-აფრიკის კავშირის დელეგატები. სხდომაზე თავი იჩინა სასტიკმა წინააღმდეგობამ სხვადასხვა ქვეყნების დელეგაციებს შორის. ხვალ მოელიან იაპონიის დელეგატების საპასუხო გამოსვლას (ადს).

□

ხორცის გაყიდვა სიებით

ბერლინი 12 დეკემბერი ბერლინის სახელმწიფო კომისრის განკარგულებით. ხორცის მოვაჭრენი ამიერიდან ვალდებული არიან ღორის ხორცი გაჰყიდონ მხოლოდდამხოლოდ „მყიდველთა სიებით“. რომლებშიაც აღინიშნება მყიდველის გვარი და მისამართი. აგრეთვე მის მიერ ნაყიდი ხორცის ან ქონის რაოდენობა ეს განკარგულება ფაქტიურად ღორის ხორცის და ქონის განაწილების საბარათო სისტემაზე გადასვლას მოასწავებს, ამასთან ერთად მტკიცე ფასები შემოღებულია შაშხეულობის და ძეხვეულობის ცალკეულ სახეებზე, რომლებიც დღემდე თავისუფლად იყიდებოდა (ადს).

□

ფაშისტურ ხელისუფლებასა და ეკლესიას შორის ურთიერთობის გამწვავება

ბერლინი, 12 დეკემბერი უკანასკნელ დღეებში კვლავ მკვეთრად გამწვავდა ურთიერთობა ფაშისტურ ხელისუფლებასა და სამღვდელოებას შორის, რაც მოწმობს იმას, რომ უნაყოფო აღმოჩნდა მთავრობის ცდა — მოეხერხებინა ეკლესიასთან შერიგება დღეს საიდუმლო პოლიცია იუწყება, რომ დააპატიმრეს ბერლინის ტაძრის პრელატი—კათოლიკურ წრეებში ერთერთი უაღრესად გავლენიანი პირთაგანი—ბანაში. გარდა ამისა, დაპატიმრებულია ბანაშის მდივანი და მთელი რიგი სხვა კათოლიკური სასულიერო პირები დაპატიმრების წინ გაჩხრიკეს ეპისკოპოსის კანცელარია დაპატიმრების მოტივად პოლიცია ასახელებს „ეჭვს სახელმწიფო საიდუმლოების გაცემაში“

გუშინ ბერლინის პროტესტანტულ საზოგადოებათა კრებაზე ბერლინის ყველაზე არისტოკრატიული ეკლესიის მღვდელმა თითქოს გაილაშქრა ევანგელისტური ეკლესიის მართვა-გამგეობის იმ კომიტეტის წინააღმდეგ, რომელიც საეკლესიო საქმეთა მინისტრმა დანიშნა. ამის შედეგად კომიტეტის წარმომადგენელი თავის მოხელეებთან ერთად იძულებული გახდა დაეტოვებინა კრება (ადს).

ჩრდილო-კავკასიის კოლმეურნე ცხენოსანთა გადარბენა

(ტელეგრაფით ჩვენი სპეც. კორესპონდენტისაგან).

სოხუმი, 13 დეკემბერი. სოხუმში ჩამოვიდა საკ. კ. პ. (ბ) ჩრდილო-კავკასიის სამხარეო კომიტეტის რწმუნებული ამხ. **ვასილ კოშკადაევი**. თქვენს კორესპონდენტთან საუბარში მან განაცხადა:

— ცხენებით გადარბენას, რომელიც ჩრდილო-კავკასიის კოლმეურნეებმა ზამთრის პირობებში მოაწყეს, უდიდესი მნიშვნელობა აქვს. მისი ძირითადი მიზანია: შეამოწმოს თვითეული ჯიშის ცხენთა ამტანობა, შეამოწმოს მეცხოველეობის ხაზით დადებული სოცშეჯიბრების იმ ხელშეკრულების შესრულება, რომელიც ამ ერთი წლის წინათ დაიდო ჩრდილო-კავკასიისა და ამიერ-კავკასიას შორის. გადარბენაში მონაწილეობას ღებულობს ჩრდილო-კავკასიის 45 მოწინავე კოლმეურნე სხვადასხვა ეროვნებისა—ყაბარდოელები, ყარაჩაიელები, ლეკები, ჩერქეზები, ინგუშები, ოსები, რუსები. გადარბენა ხდება 50 რჩეული ცხენით, რომლებიც შემდეგი ჯიშებისაა: ყაბარდოული, ინგლისურ-ყაბარდოული, ყარაჩაული, მთიული, დონური, ინგლისურ-დონური. გადარბენა იმართება შემდეგი მარშრუტით: **პიატიგორსკ-მიქოიანშახარ - კლუხორის უღელტეხილი — სოხუმ - ქუთაის - სურამის უღელტეხილი — ტფილის - ბაქო, მახაჩკალა—გროზნი — ორჯონიკიძე — ნალჩიკ—პიატიგორსკი.**

მარშრუტის საერთო მანძილი **3.000 კილომეტრია.**

ზამთარში მთავრეხილზე ცხენებით გადმოსვლა დიდ სიძნელეს უქმნის ჩრდილო-კავკასიის მამაც ცხენოსნებს. უღელტეხილი დაფარულია თოვლით. ზვავმა ბილიკები მოსპო. მაგრამ ეს სიძნელეები ვერ აშინებს ცხენოსან კოლმეურნეებს, რომლებსაც მოუძღვიან გადარბენის უფროსი, ბოლშევიკი, წითელდროშოვანი **სიმონ ჩუდებოვი** და პარტორგი, წითელდროშოვანი ამხ. **ყარი ყარაევი**. როგორც მათი დეპეშებიდან ჩანს, კოლმეურნენი დიდი სიმამაცით სძლევენ დაბრკოლებებს. გადარბენა დაიწყო პიატიგორსკში ათ დეკემბერს. 17 დეკემბერს აფხაზეთში იქნებიან.

○

სოხუმი, 13 დეკემბერი. მიღებულია გადარბენის უფროსის ცნობა, რომ კლუხორის უღელტეხილს გადმოლახავენ 16 დეკემბერს, ხოლო 17-ს აფხაზეთის ტერიტორიაზე იქნებიან. კლუხორის უღელტეხილზე გადარბენას ეგებებიან: სოხუმის რაიაღმასკომის თავმჯდომარე ამხ. **გაბუნია**, მთავრობის კომისიის წევრები და ოცი ცხენოსანი კოლმეურნე. აჭარის სოფლსაბჭომ გამოიწვია კოლმეურნენი გზის გასაწმენდად კლუხორის უღელტეხილზე, რომელიც გადარბენის ყველაზე ძნელ უბანს წარმოადგენს.

1936 წლის იანვრის 1-თვის არსებული მდგომარეობის მიხედვით ოთხფეხი საქონლის აღწერის შესახებ

საქართველოს სახკომსაბჭოს დადგენილება

საქართველოს სსრ-ში მეცხოველეობის განვითარების სახელმწიფო გეგმის ასრულების შემოწმებისა და ოთხფეხი საქონლის შესახებ ზედმიწევნით ცნობების მიღებისათვის საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო—„1936 წლის იანვრის 1-თვის არსებული მდგომარეობის მიხედვით ოთხფეხი საქონლის აღწერის შესახებ“ გამოცემული, სსრ კ-ის სახალხო კომისართა საბჭოს 1935 წ. დეკემბრის 4-ის დადგენილების შესაბამისად (სსრ კ ცენ. აღმ. კ-ტის „იზვესტიას“ 1935 წ. 282 №-ი) ადგენს:

1 მიენდოს საქართველოს სსრ სახალხო სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოს:

ა) ჩაატაროს ნატურად მთლად საქართველოს სსრ ტერიტორიაზე სოფლად და ქალაქად (ხევსურეთისა და მთა-თუშეთის გამოკლებით) ცხენებისა, მსხვილფეხა რქოსანი საქონლისა, კამეჩებისა, ღორებისა, ცხვრებისა, ვირებისა, ჯორებისა და აქლემების აღწერა ყველა მეურნეობაში, აგრეთვე საფუტკრე სკებისა (ოჯახები) ყველა კოლექტიურ მეურნეობაში და სახელმწიფო და კოოპერატიულ მეურნეობაში 1936 წ. იანვრის 1-თვის;

ბ) აღნიშნული აღწერის დამთავრებისას—ჩაატაროს აღწერის ცნობების მასობრივი საკონტროლო შემოწმება; ამასთანავე, შემოწმებით მოცული უნდა იქნეს არანაკლებ კოლმეურნეთა, ერთპიროვნულ მეურნეთა, მუშათა და მოსამსახურეთა მეურნეობების 15 პროცენტისა როგორც სოფლად, ისე ქალაქად, აგრეთვე ზამთრის საძოვრებზე.

2 სარაიონო აღმასრულებელმა კომიტეტებმა, იმ რაიონებისა, რომლებიც ერეკებიან საქონელს ზამთრის საძოვრებზე, სოფლად საქონლის აღრიცხვასთან ერთად, უნდა აღწერონ საქონელი ნატურად ზამთრის საძოვრებზე (შირაქის ველზე, ყიზლარსა, აზერბაიჯანსა, ჭალადიდსა და კუბანში და სხვ.).

3 წინადადება მიეცეს იმ რაიონების სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეებს, რომლებიც ერეკებიან საქონელს ზამთრის საძოვრებზე (გურჯაანისა, სიღნაღისა, თელავისა, ყვარლისა, ლაგოდეხისა, ტფილისისა, დუშეთისა, საგარეჯოსი, ბაშკიჩეთისა, თიანეთისა, ყაზბეგისა, ჯავისა, ლენინგორისა, სტალინირისა, ცხაკაიასი, მარტვილისა, ზუგდიდისა ხობისა, წალენჯიხისა, ჩხოროწყუსი, ბათუმისა, ქობულეთისა, ქედისა და სხვა რაიონებისა) — წარავლინონ თავიანთი რაიონების პასუხისმგებელი მომუშავენი და აგრეთვე სასოფლო საბჭოების წარმომადგენელნი აღნიშნულ საძოვრებზე უშუალო მონაწილეობის მისაღებად საქართველოს სსრ სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოს და საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის ბრიგადების მუშაობაში მომთაბარე საქონლის აღწერის ორგანიზაციისა და ჩატარებისათვის; მათ უნდა მიეცეს მომსვლელისთვის საჭირო საშუალებანი და ამომწურავი მასალა გარეკილი საქონლის შესახებ (მეურნეობათა და საძოვართა სიები, გარეკილი საქონლის რაოდენობა და სხვ. მისთ.).

საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა უნდა უზრუნველჰყოს თავისი რწმუნებულებისა (საძოვრების საქმეთათვის და აგრეთვე საძოვრების გამგეობის მინდვრის მცველებისა და მიმაგრებული ზოოპერსონალის უშუალო მონაწილეობა საძოვრებზე აღწერის ჩატარებაში.

4 დაევალოს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახ. კომისარიატს, „ცეკავშირს“, მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტს და სხვა უწყებებს და ორგანიზაციებს, რომლებსაც აქვთ მეცხოველეობის მეურნეობანი, აგრეთვე საბჭოთა მეურნეობებისა, კოოპერაციული მეურნეობებისა და მუშათა მომარაგების განყოფილებების მეურნეობების დირექტორებს და კოლექტიური მეურნეობების თავმჯდომარეებს დაამთავრონ აღწერის დაწყებამდე ოთხფეხი საქონლის ინვენტარიზაცია 1936 წ. იანვრის 1-თვის არსებული მდგომარეობის მიხედვით და მოამზადონ ცნობები 1935 წლის გეგმის ასრულებისა, ოთხფეხი საქონლის რაოდენობისა. მოზარდეულის აღზრდისა და ნახირის (ჯოგის ფარის) ბრუნვის შესახებ.

5 დაევალოს „ზაგოტსკოტის“ სარაიონო კონტორებს წარუდგინონ სახალხო სამეურნეო აღრიცხვის სარაიონო ინსპექტორებს 1935 წლის დეკემბრის 20-მდე შემოწმებული ცნობები ხორცეულის ჩაბარების გეგმების ასრულებისა (ცალკეული კატეგორიებისა და სხვადასხვა საქონლის მიხედვით რაოდენობით).

6 დაევალოს საქონლის მყოლი სახელმწიფო და კოოპერატიული მეურნეობების დირექტორებს და აგრეთვე კოლექტიური მეურნეობების თავმჯდომარეებს—წარუდგინონ აღწერის რეგისტრატორებს, სსრ კ-ის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ დამტკიცებული ფორმებით, ზედმიწევნითი და პირადად მათ მიერ შემოწმებული ცნობები აღნიშნული მეურნეობების კუთვნილი საქონლის რაოდენობის შესახებ 1936 წლის იანვრის 1-თვის არსებული მდგომარეობის მიხედვით. ამის გარდა, დაევალოს აღნიშნული მეურნეობების დირექტორებს—წარუდგინონ რეგისტრატორებს ცნობები საბჭოთა მეურნეობის (კოოპმეურნეობების) ტერიტორიაზე მცხოვრებ მუშათა და მოსამსახურეთა მეურნეობების რიცხვისა და მათი კუთვნილი საქონლის შესახებ.

7 ცალკეული რაიონების განსაკუთრებული კლიმატური პირობებისა და ზამთრის პერიოდში კავშირგაბმულობის სიძნელეთა გამო—წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოს შეუდგეს ვადამდე საქონლის აღწერას შემდეგ რაიონებში: ზემო და ქვემო სვანეთში, ყაზბეგისა, ჯავისა და ლენინგორის რაიონებში, აგრეთვე დუშეთისა და თიანეთის მაღლობ რაიონებში დეკემბრის 5—10: ახალქალაქისა, ახალციხისა, ბოგდანოვკისა, ადიგენისა, ასპინძისა, წალკისა, აბულახისა, ბაშკიჩეთისა, ზნაურისა, სტალინირისა, ამბროლაურისა, ცაგერისა, წალენჯიხისა, ჩხოროწყუსი, ხარაგოულისა, ონისა, ქედისა და ხულოს რაიონებში არა უგვიანეს დეკემბრის 20-სა. ამასთან ერთად, ჩაატაროს ვადამდე აღწერა ზემოაღნიშნულ ვადებზე იმ რაიონების ცალკეულ სასოფლო საბჭოებში, სადაც, კლიმატური პირობების მიხედვით, უფრო დაგვიანებით აღწერის ჩატარება საძნელო იქნება.

8 დაევალოს სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტებისა და საქალაქო და სასოფლო საბჭოების თავმჯდომარეებს მიიღონ აქტიური მონაწილეობა საქონლის [illegible] აღწერის ჩატარებაში. პირადი მეთვალყურეობა და კონტროლი გაუწიონ აღწერისათვის საჭირო ყველა სამუშაოს, თვით მასალის მიღებას და ჩაბარებასაც კი; კერძოდ:

ა) გაშალონ მოსახლეობაში ფართო მასობრივი მუშაობა წინამდგომარე აღწერის მნიშვნელობისა და ამოცანების ახსნა-განმარტებისათვის;

ბ) უზრუნველჰყონ სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის ორგანიზაციები აღწერის ჩატარებისათვის ნაცადი და მომზადებული მომუშავეებით საჭირო რაოდენობამდე და ნებადართონ, რათა ამ მიზნით მუშაობაში ჩაბმულ იქნენ აგრეთვე მასწავლებლები და უმაღლესი სასწავლებლებისა და ტექნიკუმების სტუდენტები;

გ) უზრუნველჰყონ აღწერის მომუშავენი სათანადო საშუალებებით რაიონს შიგნით და ზამთრის საძოვრებზე მიმოსვლისათვის;

დ) მიამაგრონ სასოფლო საბჭოებს აღწერის მთელი დროის განმავლობაში პასუხისმგებელი სარაიონო მომუშავენი აღწერის ჩატარების საქმეში მათთვის კონკრეტული დახმარების გასაწევად.

9 დაევალოს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და საქალაქო საბჭოებს აღწერის დამთავრების შემდეგ განიხილონ პრეზიდიუმის სხდომაზე საქონლის აღწერისა და მეცხოველეობის განვითარების სახელმწიფო გეგმის ასრულების შედეგები; თანაც ზედმიწევნით ანალიზი გაუკეთონ მეცხოველეობის მდგომარეობას როგორც მთლად რაიონში, ისე ცალკეულ კოლექტიურ მეურნეობებსა და სასოფლო საბჭოებში და დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი, რაც უზრუნველჰყოფს მეცხოველეობის შემდგომ ზრდას და განმტკიცებას რაიონში.

საქონლის აღწერის სარაიონო შედეგებს მეცხოველეობის მდგომარეობის ანალიზითურთ სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის ინსპექტორები ჩააბარებენ საქართველოს სსრ სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოს სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეთა თანდასწრებით. რომელნიც გამოიწვევიან საქართველოს სსრ სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოში სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის ინსპექტორებთან ერთად.

10 აღწერისათვის საქონლის დამალვისა და მეცხოველეობის განვითარების სახელმწიფო გეგმის ასრულების შესახებ არასწორი ცნობების წარდგენაში დამნაშავე პირნი მიეცემიან პასუხისგებაში სისხლის სამართლის წესით.

11 დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოს დაამთავროს აღწერა 1936 წ. თებერვლის 1-თვის და წარმოუდგინოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს არა უგვიანეს 1936 წ. თებერვლის 15-ისა საქონლის აღწერის და მესაქონლეობის განვითარების სახელმწიფო გეგმის ასრულების წინასწარი შედეგები.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე
გ. მგალობლიშვილი.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველის მოადგილე ს. [illegible]

1935 წ. დეკემბრის 13
ტფილისი.

□ □ □

სომხეთის მშრომელთა დელეგაცია მოსკოვს ჩავიდა

მოსკოვი, 12 დეკემბერი. 12 დეკემბერს ერევნიდან მოსკოვს ჩამოვიდა საბჭოთა სომხეთის მშრომელი დელეგაცია—25 კაცი. დელეგაციის მეთაურობენ სომხეთის კ.პ.(ბ) ც. კ-ის მდივანი ამხ. **ხანჯიანი** და სომხეთის სსრ სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ამხ. **გულოიანი**.

დელეგაცია პარტიისა და საკავშირო მთავრობის ხელმძღვანელებს გადასცემს პატაკს იმ მიღწევებზე, რომლებიც საბჭოთა სომხეთმა განვლილ 15 წლის განმავლობაში მოიპოვა.

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

კომკავშირის საკავშირო ყრილობა

„პრავდის“ მოწინავე 13/XII

რა ღრმისი ცვლილებები მოხდა არა მარტო ეკონომიკაში, არამედ ჩვენი ქვეყნის მთელს მეურნეობაში, საბჭოთა კავშირის მშრომელთა მილიონების შეგნებაში! მარტო ერთ 1935 წლის განმავლობაში სულ ქვედაფენებიდან ფეხზე წამოდგნენ, ამოძრავდნენ მილიონობით ადამიანები, ათასობით ხალხიდან გამოსული, ჩვენი სახელოვანი ახალგაზრდობის წრიდან გამოსული ტალანტები. გაჩნდა ახალი სიტყვები—შრომის ნაყოფიერების მძლავრი აღმავლობისა და სასიხარულო, საამური ცხოვრების სინონიმები. სტახანოვი, კრივონოსი, ბუსიგინი, ვინოგრადოვა,—ყველა ეს სახელი, რომლებიც წინათ უცნობი იყვნენ, ხოლო ამჟამად მძლავრ სტახანოვურ მოძრაობას ანსახიერებენ, წითელ ზოლად შევლენ ჩვენი სოციალისტური მშენებლობის ისტორიაში.

1935 წელს დაიბადნენ „ხუთასოვანნი“, რომლებმაც უხვი მოსავლის დროშა ამაყად აღმართეს. ათასობით გაჩნდნენ ანგელინები, ლენინური კომკავშირის სახელოვანი ქალიშვილები, სოციალისტური მიწათმოქმედების მამაცი გმირები, რომლებიც ტექნიკას დაეუფლნენ.

ამხანაგი სტალინის ლოზუნგი—კადრები სწყვეტენ ყველაფერს—მოედო სოციალისტური სამშობლოს თვალუწვდენელ სივრცეებს და ღრმად შეიჭრა მშრომელი მასების გულში. ამ ლოზუნგის გარშემო ფეხზე დადგნენ მოწინავე პროლეტარიები, კოლმეურნეები, ჩვენი სახელოვანი წითელი არმიის მებრძოლები, ჩვენი ქვეყნის მოძრაობამ ახალი სისწრაფე, უფრო გაქანებული ტემპები აიღო; იგი თავის გზაზე სპობს კლასობრივი მტრის ნაშთებს ბიუროკრატიზმს, ამსხვრევს „ტექნიკურად დასაბუთებულ ნორმებს“, კონსერვატიზმს...

აგვირგვინებს რა სოციალიზმის საძირკველს ადამიანთა ახალი საზოგადოების ზედნაშენებით, 1935 წელი არა მარტო იმით არის შესანიშნავი, რომ სწორედ ამ წელს განსაკუთრებით საუცხოოდ გაიშალა განთავისუფლებული ხალხის მძლავრი ძალები. ჩვენ უკან ვსტოვებთ ძირითად სიძნელეებს, რომლებიც მთელი სახალხო მეურნეობის ძირფესვიან რეორგანიზაციასთან დაკავშირებით წარმოიშვა. ისტორიას ჰბარდება თავის დროზე ისეთი პოპულარული სიტყვები, როგორიც არის პურის ბარათი, განმანაწილებელი, ულუფები, „ტორგსინი“ და სხვა. შეძლებული და კულტურული ცხოვრება—ეს სტალინური ლოზუნგი—რეალობა ხდება. თავისუფლების სიკეთენი, რომლებიც მოპოვებულია დიდი პროლეტარული რევოლუციით, ჩვენმა ხალხმა მატერიალური სიკეთეებით შეავსო. „ცხოვრება გაუმჯობესდა, ამხანაგებო. ცხოვრება უფრო საამური გახდა“. საბჭოთა ახალგაზრდობა—კომუნისტური სიმდიდრის ბედნიერი მემკვიდრე—გაბედულად და იმედიანად შეჰყურებს თავის მომავალს არაფერი ჩრდილავს მის მძლავრ ჰორიზონტებსა და პერსპექტივების სიფართოვეს.

სხვა ვითარებაა—სხვა ამოცანებიც. ჩვენი პარტიის ძალა კერძოდ იმაშიც მდგომარეობს, რომ იგი პირობების შეცვლასთან ერთად სცვლის თავისი მუშაობის მეთოდსაც, მასებზე თავისი ზეგავლენის ფორმებს. ასე იქცევა პარტიის ერთგული თანაშემწეც—ლენინური კომკავშირი.

კომკავშირის IX ყრილობის დღეებში, რომელიც მიმდინარეობდა პირველი ხუთწლედის პერიოდში, როცა ახალ საზოგადოებრივ წყობილებას საძირკველი ეყრებოდა, როცა სტალინგრადის სატრაქტორო ქარხნის, „მაგნიტკას“ კორპუსები შენდებოდა, როცა ყინვასა და სიცივეში ხალხი შიშველი ხელით აგურებს სდებდა. ცემენტს ზელავდა,—ყველას, მათ შორის კომკავშირსაც ერთი ამოცანა ჰქონდა: რაც შეიძლება მალე ეშენებინათ, რაც შეიძლება მალე წაეწიათ წინ სოციალისტური ინდუსტრიალიზაცია. ხუთწლიანმა გეგმამ მოახდინა კომკავშირის მობილიზაცია. კომკავშირი ამრავლებდა დამკვრელთა და დამკვრელ — ქალთა რიგებს, აღვივებდა სოციალისტური შეჯიბრების ცეცხლს. ახალშენობებზე, საკოლმეურნეო მიწის თვალუწვდენელ მინდვრებზე, დონბასის შახტებში, ფოლადის ფრინველთა მძლავრ გუნდებში — ყველგან ჩანდა ჩვენი სახელოვანი ახალგაზრდობის შემოქმედებითი ძალა. კომკავშირს სამართლიანად ეწოდება „მრავალფეროვანი სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის სკოლა“.

ამჟამად ლენინური კომკავშირი თავის X საკავშირო ყრილობას ეგებება. ეს ყრილობა ახალ ვითარებაში იკრიბება, და კომკავშირის წინაშე ახალი ამოცანები დგას. ყველაზე ძნელი საქმე შესრულებულია—სოციალიზმის საფუძველი აგებულია და ჩვენი ქვეყანა მიიწევს უფრო წინ, იმ [illegible] ხანისაკენ, რომელზეც კაცობრიობის მრავალი თაობა ოცნებობდა.

პარტია მოითხოვს, რომ კომკავშირი გახდეს ჩვენი სამშობლოს კულტურული, პოლიტიკურად აღზრდილი, მარქსისტულად მომზადებული, კლასობრივად გამობრძმედილი და ტექნიკურად გამოწრთობილი კადრების სკოლა. რაც უფრო გამოწრთობილი და უფრო კულტურული იქნება ჩვენი ახალგაზრდობა, მით უფრო წარმატებით წასწევს იგი წინ ჩვენს ქვეყანას.

მალე წელიწადი შესრულდება, რაც კომკავშირმა დაიწყო თავისი მუშაობის გარდაქმნა ამხანაგ სტალინის მითითებათა საფუძველზე. ამ დროს ფუჭად არ ჩაუვლია. ჩვენმა კომკავშირმა, ამაყმა და ბედნიერმა იმით, რომ იგი ყველაზე მდიდარ, ყველაზე მრავალწახნაგოვან ეპოქაში ცხოვრობს, ამ წლის მანძილზე ჩვენი ქვეყნის ისტორიაში ბევრი სასახელო ფურცელი ჩასწერა. კომკავშირელ კრივონოსს, კურიანოვს, დუსია ვინოგრადოვას, მარია დემჩენკოს, პაშა ანგელინას და მრავალ სხვას ამაყად უჭირავთ ჩვენი ქვეყნის გმირორდენოსანთა დროშა. კომკავშირი სწავლობს, ითვისებს მეცნიერებას, ტექნიკას, აფართოებს თავის გავლენას სკოლებში, სჭედს ახალგაზრდა თაობაში მარქსისტულ-ლენინურ მსოფლმხედველობას.

მაგრამ კომკავშირის გარდაქმნა, თავისი ძირითადი ფუნქციისაკენ — ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდისაკენ- შემობრუნება ძალიან ნელა მიმდინარეობს. კომკავშირი სრულიადაც არა მთელს აქტივს აქვს შეგნებული კავშირის შემდგომი განვითარების გზები და გარდაქმნის ამოცანათა რაობა. საკავშირო ყრილობისათვის მზადება და კომკავშირული ორგანიზაციების არჩევნები—ეს ყველაზე ჩქეფარე პერიოდი ახალგაზრდობის ცხოვრებაში—უნდა გამოვიყენოთ კომკავშირული ორგანიზაციების გადაჭრით გარდასაქმნელად ამხანაგ სტალინის მითითებათა ბოლომდე შესასრულებლად.

ჩვენი ახალგაზრდობისათვის უცნობია სიდუხჭირითა და გაჭირვებით აღსავსე ცხოვრება. ჩვენი ახალგაზრდობა არ იცნობს სიცოცხლის ბავშვობიდანვე დაწყებული გამომფიტველი შრომით. მას არაფერი უშლის ხელს ისწავლოს, იბრძოლოს ჩვენი სამშობლოს სიდიადისათვის, ბედნიერი ცხოვრებისათვის, და ჩვენი ახალგაზრდობის უდიდესი ნაწილი, 25 მილიონზე მეტი, სწავლობს, ავსებს ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებს, ტექნიკუმებს, სკოლებს.

უკვე მარტო ეს ფაქტი, რომელსაც ყოველი კომკავშირელი აქტივისტი კარგად უნდა ჩაუფიქრდეს, ძირფესვიანად სცვლის კომკავშირის მუშაობის ამოცანებსა და პირობებს. თუ წინათ კომკავშირი ძირითად ყურადღებას მხოლოდ მუშა და გლეხ ახალგაზრდობას, წარმოებას აქცევდა, ახლა ამოცანები უფრო გაფართოვდა. პარტიამ კომკავშირს მიანდო მთელი, პირდაპირ მთელი საბჭოთა ახალგაზრდობის აღზრდა.

ეს ახალგაზრდობა განსაკუთრებული აგებულებისაა, მას უდიდესი მოთხოვნილებანი და საჭიროებანი, ახალი იდეალები და პერსპექტივები აქვს.

კომკავშირის ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ თავის გავლენის ქვეშ მოაქციოს მთელი საბჭოთა ახალგაზრდობა, შეიარაღოს იგი ბოლშევიკური სიფხიზლით და შეურიგებლობით ყოველივე მტრულისა და მეძულისადმი. აღზარდოს კომუნიზმის საქმისათვის მებრძოლნი, რომელთა ძირითადი თვისებანია „მიზნის სიცხადე, სიმედგრე მიზნის მიღწევის საქმეში და ხასიათის სიმტკიცე, რაიც ყველა და ყოველგვარ დაბრკოლებას ამსხვრევს“. ამ ამოცანის შესრულება შეუძლიათ მხოლოდ კომკავშირის მოწინავე, ყველაზე საუკეთესო ადამიანებს. ეს ამოცანა სწყდება „პრაქტიკულ ლენინიზმებათა“ შემოშვებით კი არა, გარეგნული „გაით“ ლაპარაკით კი არა, არამედ გულმოდგინე, შეუპოვარი მუშაობით. ახალგაზრდობის საჭიროებასა და მოთხოვნილებასთან გულისხმიერი და მზრუნველი დამოკიდებულებით.

ზეინკალი, რომელიც მანქანის დეტალს აკეთებს, ისიც ხომ მზრუნველობით ალამაზებს მას, ყურადღებით ადევნებს თვალყურს თავისი ხელობის მოძრაობას. რაღა უნდა ითქვას კომკავშირის ხელმძღვანელზე, რომელსაც საქმე ახალგაზრდა ადამიანთან აქვს და რომელიც აყალიბებს მის შეგნებას. მის ფსიქიკას! რა ცოდნა, რა კულტურა, რა ყურადღება რა ზრუნვა არის საჭირო ამ საქმეში!

ამიტომ კომკავშირული ორგანიზაციების არჩევნები ისე უნდა მოვახდინოთ, რომ კომკავშირის მუშაობის დაწვრილებით და ყოველმხრივი განხილვის შემდეგ, არჩევნების შემდეგ ახალგაზრდობის ხელმძღვანელთა შორის ისეთი ადამიანები აღმოჩნდნენ, რომლებიც ნამდვილად შესძლებენ პარტიის ნდობის გამართლებას. უნდა გვახსოვდეს, რომ აქაც „კადრები სწყვეტენ ყველაფერს“.

პარტია და მთელი ჩვენი ქვეყანა ლენინური კომკავშირისაგან, რომელიც თავის საკავშირო ყრილობას ეგებება, მოელიან კიდევ უფრო დიდ გამარჯვებებს წარმოებაში, კოლმეურნეობებში და შეიძლება ეჭვი არ შევიტანოთ, რომ ყოველი კომკავშირელი თავის ყრილობას შეეგებება როგორც სტახანოველი, როგორც სოციალისტური წარმოების მოწინავე.

კომკავშირი შესძლებს ისახელოს თავი ახალი ბრწყინვალე გამარჯვებებით.

პარტია და მთელი ჩვენი ქვეყანა მოელიან ლენინური კომკავშირისაგან ლენინიზმის პროპაგანდის საქმის ძირფესვიანად გაუმჯობესებას, სკოლაში და პიონერთა შორის მთელი აღმზრდელობითი მუშაობის ხარისხის ამაღლებას, ახალგაზრდობას და მეტადრე ქალიშვილთა კულტურული მომსახურების გაუმჯობესებას. და შეიძლება ეჭვი არ შევიტანოთ, რომ ლენინ-სტალინის საქმის უსაზღვროდ ერთგული ლენინური კომკავშირი კიდევ უფრო დაბეჯითებით მოჰკიდებს ხელს მარქსიზმ-ლენინიზმის შესწავლას, გაამდიდრებს თავის ცოდნას სახელოვანი ბოლშევიკური პარტიის ბრძოლის გამოცდილებით.

თათბირი პარტიული პროპაგანდის საკითხებზე

საოლქო კომიტეტების, სამხარეო კომიტეტების და ნაცკომპარტიათა ცენტრალური კომიტეტების პარტიული პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებათა გამგეების თათბირი (1935 წლის 4--7 დეკემბერს)

თათბირი მიმდინარეობდა საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პარტიული პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგის ამხ. **სტეცკის** ხელმძღვანელობით. სიტყვა წარმოსთქვა საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. **ანდრეევმა**, რომელსაც დარბაზი მქუხარე ტაშით შეხვდა. პარტიული პროპაგანდის დაყენების კონკრეტულ საკითხებზე მოხსენებებით გამოვიდნენ საოლქო კომიტეტების და სამხარეო კომიტეტების პარტიული პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებათა გამგეები.

Δ

თათბირმა ცხადჰყო, რომ პარტიული პროპაგანდის დაყენების მხრივ, მრავალი სერიოზული ნაკლი გვაქვს, რაც, უწინარეს ყოვლისა, გამომდინარეობს იმ განყოფილებათა სუსტი ორგანიზატორული მუშაობიდან, რომლებიც მოწოდებულნი არიან ხელმძღვანელობა გაუწიონ ამ საქმეს.

პროპაგანდისტთა დამტკიცება რაიკომების ბიუროს სხდომებზე ხშირად ფორმალურ პროცედურად იქცევა. თუ არაფერს ვიტყვით იმაზე, რომ ბევრი რაიკომი არც კი ამტკიცებს პროპაგანდისტებს.

როგორც პარტიული პროპაგანდის ხელმძღვანელობისადმი ფორმალური დამოკიდებულების მაგალითი, დაასახელეს აზოვ-შავიზღვის სამხარეო კომიტეტის „გამოცდილება“ —სამხარეო კომიტეტმა ერთბაშად დაკვრით დაამტკიცა სოფლად პარტგანათლების მთელი ქსელი (ამ სამხარეო კომიტეტის პარტიული პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგეა ამხ. ძვოლაიცკი).

პროპაგანდისადმი სერიოზულ დამოკიდებულებას ვერც ხარკოვის და ვინიცის საოლქო კომიტეტები დაიკვეხნიან.

გარდატეხა მოსჩანს მხოლოდ ცალკეულ ორგანიზაციებში მაგალითად, ლენინგრადის საქალაქო კომიტეტის პარტიული პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებამ მტკიცედ მოჰკიდა ხელი სკოლების დაკომპლექტებაში არსებულ დეფექტების გამოსწორებას.

თათბირმა გამოარკვია, რომ პარტიული პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებათა ბევრი მუშაკი უფრო დაინტერესებულია ციფრებით, სქემებით, ვიდრე წრეების იდეური ცხოვრებით, ვიდრე მტრულად განწყობილ ელემენტთა აქტივობის ფორმებით.

ამხ. **ბერიას** მოხსენების განხილვის დროს ანტილენინური ელემენტები ცდილობდნენ დაემახინჯებინათ ჩვენი პარტიის ისტორია, ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციის ისტორია. ამხანაგ **სტალინის** მიერ სტახანოველთა თათბირზე წარმოთქმული სიტყვის დამუშავების დროს მტრულად განწყობილი ელემენტები ცდილობდნენ დაეთესათ ხვალინდელი დღის რწმენის უქონლობა, ამტკიცებდნენ, სტახანოვური მოძრაობა მუშათა კლასს უმუშევრობას უქადისო.

პარტიული პროპაგანდის მაღალი ხარისხის უზრუნველსაყოფად თავიდათავი მნიშვნელობა აქვს პროპაგანდისტთა სწორად შერჩევას. შემოწმების, მათი მუშაობაზე სისტემატური კონტროლის დაწესების მათთვის დახმარების გაწევის საკითხს... ხშირად გვესმის პროპაგანდისტთა ცუდი მუშაობის კრიტიკა, მაგრამ იშვიათად ხდება კარგ პროპაგანდისტთა პოპულარიზაცია.

როგორ მოვიქცეთ შემდეგში. როგორ მივაღწიოთ უმოკლეს ვადაში პროპაგანდისტთა მაღალხარისხოვან მუშაობას? თავიდან მოვიშოროთ სუსტი, უვარგისი პროპაგანდისტები, მივიზიდოთ პროპაგანდისტთა ახალი კადრები ხელმძღვანელ პარტიულ მუშაკთა რიცხვიდან, ფართოდ წავსწიოთ წინ პროპაგანდისტთა მომზადება და გადამზადება — ასეთია თათბირის აზრი

ძალიან ცუდად არის დაყენებული ხელმძღვანელ პარტიულ მუშაკთა ჩაბმა პროპაგანდისტულ მუშაობაში როგორც წესი, სამხარეო კომიტეტების, საოლქო კომიტეტების, საქალაქო კომიტეტების, რაიკომების ბიუროებისა და საქარხნო პარტიული კომიტეტების ბიუროს წევრებიც კი პროპაგანდისტულ მუშაობას არ ეწევიან, ხოლო პარტიული პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებები ადგილებზე გადაჭრით არ აყენებენ ამ საკითხს.

ძალიან ცუდად არის ორგანიზებული პროპაგანდისტებისათვის სისტემატური დახმარების გაწევა. პროპაგანდისტთა სემინარები, როგორც წესი, არ ამზადებენ პროპაგანდისტებს მორიგი თემისათვის. პროპაგანდისტთა სემინარები, როგორც წესი, არ მუშაობენ მეთოდიურ საკითხებზე.

თუ მთლიანად პროპაგანდისტული მუშაობა, თათბირის მონაწილეთა საერთო აზრით, დაბალ დონეზე დგას, მეტადრე ცუდ მდგომარეობაშია პარტიული პროპაგანდა სოფლად

თათბირმა მოიწონა კუიბიშევის სამხარეო კომიტეტის გამოცდილება. ამ სამხარეო კომიტეტის პარტიული პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგემ ამხ. ხლივიცკიმ უამბო დამსწრეთ, თუ როგორ დააყენეს სოფლად პროპაგანდა ახლებურად. სახოფლო რაიონს ჰყოფენ რამდენიმე ჯგუფად. თვითეულ ჯგუფს საშუალოდ ჰყავს 30-დან 50-მდე კომუნისტი. ჯგუფის რადიუსი დაახლოებით 8 კილომეტრს უდრის. ამ ჯგუფში კომუნისტები განაწილებული არიან წრეებში მათი ცოდნის დონის მიხედვით ყველა წრე განსაზღვრულ დღეს იკრიბება ჯგუფის ცენტრში სპეციალურად მომზადებულ ბინაზე, სადაც მეცადინეობისათვის შექმნილია მაქსიმალურად ხელსაყრელი პირობები. აქვე რაიონული ცენტრიდან ჩადიან კვალიფიციური ძალები.

თათბირის მონაწილეთა ერთსულოვანი აზრით, იზრდება დაუსწრებელი პარტიული სწავლების მნიშვნელობა. ბევრ რაიონში მასობრივი დაუსწრებელი სწავლების სისტემაში ჩაბმული კომუნისტები ღებულობენ მეტ კვალიფიციურ დახმარებას, ვიდრე პარტსწავლების სტაციონალურ ქსელში.

თუმცა თათბირის დღის წესრიგში იდგა აგიტაციის საკითხი, მაგრამ იგი ჯეროვნად არ ყოფილა განხილული.

თათბირის დასასრულს მოკლე სიტყვით გამოვიდა ამხ. **სტეცკი**.

— როცა გეგმას ვადგენდით, ჩვენ უკანასკნელ ადგილზე დავსვით საკითხი პროპაგანდისტთა და აგიტატორთა აღრიცხვა. როცა ეს გეგმა ამხანაგ სტალინს გადავეცით, მან გვითხრა: „აი ეს საკითხი პირველ ადგილზე უნდა დავსვათ. საჭიროა უწინარეს ყოვლისა იმისგან დაიწყო მუშაობა, ვინც საქმეს უძღვება“.

თათბირის შემდეგ ყველა მონაწილე დაიყო კომისიებად, რომლებიც განიხილავენ კონკრეტულ წინადადებებს პარტიული პროპაგანდის დაყენების შესახებ.

(„პრავდიდან“ 11/XII).

▼ ▼ ▼ ▼ ▼ ▼ ▼ ▼

ა.-კ. რკ. გზ. სტახანოველ - კრივონოსელები. მარჯვნიდან-მარცხნით: ამხ. **ალი დადაშევი** (ვაგონების შემმოწმებელი), **ვასილ პეტროვი** (ბრიგადირი), **ზინა სერდიუკოვა** (ხარატი), **სერგეი სალმინი** (მჭედელი)

აღმოვფხვრათ გამრუდებანი მოსავლის განაწილებაში

(თათბირი მიწსახკომში)

დამთავრა მუშაობა აღმოსავლეთ საქართველოს სამიწათმოქმედო მუშაკთა თათბირმა, რომელსაც ესწრებოდნენ რაიმიწგანების გამგეები, მტს-ების დირექტორები, რაიმიწგანის და მტს-ების უფროსი ბუღალტრები. თათბირმა სალი თვითკრიტიკის ნიშნით ჩაიარა.

დღის წესრიგის პირველ საკითხზე (მოსავლის განაწილება კოლმეურნეობებში) მოხსენება გააკეთა საქმიწსახკომის საღრიცხვო-სტატისტიკური განყოფილების უფროსმა ამხ. **შ. ქელიძემ**.

მოხსენებიდან და კამათიდან გამოირკვა, რომ მოსავლის განაწილებაში ყველაფერი რიგზე არ არის. აქა-იქ სას.-სამ. არტელის წესდებასაც არღვევენ.

მოსავლის განაწილებაში დანაშაულებრივ უპასუხისმგებლობას იჩენენ ყარაიას, ბორჩალოს, ლუქსემბურგის და თიანეთის რაიმიწგანები. ყარაიას რაიმიწგანის გამგემ ამხ. **ბუნიადოვმა** და მტს-ის დირექტორმა ამხ. **ბაირამოვმა** უარი განაცხადეს, რომ საინფორმაციო მოხსენება გაეკეთებინათ თათბირზე. ამის მიზეზი ის არის, რომ ისინი არ არიან საქმის კურსში, არ იციან, როგორ მიდის მოსავლის განაწილება კოლმეურნეობებში.

მოსავლის განაწილებაზე დღემდე მიწსახკომში ცნობები არ წარმოუდგენიათ ახალციხის, გორის, ყვარლის რაიონებს და სამხრეთ-ოსეთს.

ტფილისის რაიონის კოჯრის კოლმეურნეობაში **სიმინდის მოსავალი ისე გაანაწილეს, რომ არ გამოუყვიათ სათესლე ფონდი.** ტფილისის რაიმიწგანი (გამგე ამხ. **მიგრიაული**) და მტს-ის დირექცია (დირექტორი ამხ. **მდივნიშვილი**) მტკიცედ არ ხელმძღვანელობენ კოლმეურნეობებში სათესლე ფონდის შეგროვებას. ამით აიხსნება, რომ ამ რაიონში 1 დეკემბრისათვის თესლის შეგროვების გეგმა 60 პროცენტით იყო შესრულებული.

ტფილისის რაიონის ზოგმა კოლმეურნეობამ სათესლე ფონდი შრომადღეებზე გაანაწილა.

საგარეჯოს რაიონის სტალინის და მახარაძის სახელობის კოლმეურნეობებში სათესლე ფონდი ნორმაზე ორჯერ მეტი გამოჰყვეს და ამით შეამცირეს შრომადღეზე გასანაწილებელი ხორბალი.

თიანეთის რაიონის ერწოს კოლმეურნეობაში მოსავალი გაანაწილეს არა შრომადღის, არამედ თავმჯდომარის პირადი შეხედულების მიხედვით.

კოლმეურნეობა „შრომაში“ (ულიანოვკის მტს-ი, სიღნაღის რაიონი) ფულადი შემოსავალი „შინაურულად“ გაანაწილეს. მაგალითად კოლმეურნეობის თავმჯდომარემ 318 გამომუშავებულ შრომადღეზე ავანსად მიიღო 1000 მანეთი, ხოლო კოლმეურნემ, რომელსაც 400 შრომადღე ჰქონდა გამომუშავებული, 60 მანეთი მიიღო.

ზოგ რაიონში არ გაუნაწილებიათ მეცხოველეობის პროდუქტები შრომადღის მიხედვით.

საქმიწათმოქმედების სახალხო კომისარმა ამხ. **შ. მათიკაშვილმა** სამიწათმოქმედო მუშაკებს მისცა დაწვრილებითი ახსნა-განმარტება მოსავლის განაწილებაში შემჩნეულ ნაკლის აღმოსაფხვრელად და გააცნო ის ღონისძიებანი, რომლითაც უნდა გამოასწორონ ნაკლი.

არტელის წესდების განუხრელად გატარებისათვის

საქმიწსახკომის მარცვლეულის სამმართველოს უფროსმა ამხ. **შ. ნავგალაძემ** თავის მოხსენებაში აღნიშნა, რომ **მიმდინარე წლის 1 იანვრიდან 1 ნოემბრამდე აღმოსავლეთ საქართველოში ჩამოყალიბდა 361 კოლმეურნეობა ამავე ხნის განმავლობაში არსებულ კოლმეურნეობებს შეემატა 69.623 კომლი.**

ეს მდგომარეობა ავალებდა სამიწათმოქმედო მუშაკებს დახმარებოდნენ ახალი კოლმეურნეობების ხელმძღვანელებს სას. სამ. არტელის წესდების განუხრელად გატარებაში. მაგრამ ზოგან ასე არ მოხდა. **გურჯაანის, ბორჩალოს და საგარეჯოს** ახლად მოწყობილ კოლმეურნეობებში აჩქარებენ წევრად მიღების განცხადებათა განხილვას და შემდეგ ერთბაშად იხილავენ ბევრ განცხადებებს, რის გამო კოლმეურნეობაში ეპარება უცხო ელემენტი.

წალკის რაიონში ახლად მიღებულ კოლმეურნეებს განასაზოგადოებინეს მოზარდი პირუტყვი და აგრეთვე პირად სარგებლობაში არ დაუტოვეს ერთი საჯდომი ცხენი, როგორც ეს არტელის ახალი წესდებით არის გათვალისწინებული.

დუშეთის, საგარეჯოს, ბორჩალოს, ახალქალაქის და წალკის რაიონების ახლად ჩამოყალიბებულ კოლმეურნეობებში ბრიგადები არ არიან მიმაგრებული ნაკვეთებზე, არ აქვთ გამომუშავების ნორმები.

ახალ კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებს სამიწათმოქმედო ორგანიზაციები არ უწევენ ცოცხალ ხელმძღვანელობასა და დახმარებას. სამაგიეროდ გავრცელებულია თავმჯდომარეთა წარამარა მოხსნის პრაქტიკა (ახალქალაქი, თიანეთი, ბორჩალო. საგარეჯო).

თათბირზე გამოირკვა, რომ სას.-სამ. არტელის წესდების რეგისტრაცია ნელი ტემპებით მიმდინარეობს. ვადა კარგა ხანია ამოიწურა, ხოლო გეგმა შესრულებულია 58.8 პროცენტით. ყველაზე უფრო ჩამორჩნენ: ახალციხის, ბოგდანოვკის, ტფილისის, დუშეთის, ლუქსემბურგის, ბაშკიჩეთის, თიანეთის რაიონები და სამხრეთ-ოსეთი.

საქ. მიწსახკომის მიწათმომწყობი განყოფილების უფროსის ამხ. **ვ. გულბანის** მოხსენებიდან გამოირკვა, რომ საკარმიდამო მიწების გამოყოფა კოლმეურნეებისათვის თვითდინებაზეა მინდობილი. ეს ითქმის კასპის, საგარეჯოს, თიანეთის და დუშეთის რაიონებზე.

ბორჯომის, წალკის, ახალქალაქის, ახალციხის და ადიგენის რაიონებში დაკმაყოფილდნენ საკარმიდამო მიწების აზომვით.

თათბირის მონაწილე ბუღალტრებს მიეცათ დაწვრილებითი რჩევა-დარიგება, თუ როგორ უნდა შესდგეს კოლმეურნეობათა ინვენტარიზაცია, წლიური ანგარიშები და 1936 წ. საწარმოო გეგმები.

თათბირის მუშაობის შეჯამებისას ამხ. **შ. მათიკაშვილმა** აღნიშნა, რომ სამიწათმოქმედო ორგანიზაციებმა ვალია ყოველმხრივ შეუწყონ ხელი კოლმეურნეობებს იმუშაონ სტალინური წესდების მიხედვით. მან სამართლიანად გააკრიტიკა ყარაიას რაიმიწგანის, მტს-ის დირექციის, თიანეთის და ბორჩალოს რაიმიწგანების მუშაობა და თათბირის ყურადღება გაამახვილა სას.-სამ. არტელის წესდების გამრუდებათა სასწრაფოდ გამოსწორებაზე.

ამხ. მათიკაშვილმა ხაზი გაუსვა **1936 წ. საგაზაფხულო კამპანიის წარმატებით შესრულების საჭიროებას.** ამისათვის ახლავე უნდა გაჩაღდეს მუშაობა. საწარმოო გეგმები დაწესებულ ვადებში უნდა შესდგეს. მოსავლიანობის აწევის, აგროტექნიკის და გამომუშავების ნორმების შემუშავება—ჩვენი გადაუდებელი ამოცანაა. ნორმების დაზუსტებისას ადგილებზე გამოყენებული უნდა იქნეს მოწინავე კოლმეურნეთა გამოცდილება.

ან. იაკობაშვილი

იტალიის იმპერიალიზმი და მისი კოლონიური პოლიტიკა

„ეკონომიკისა და პოლიტიკის უთანაბრო განვითარება კაპიტალიზმის აუცილებელი კანონია“. ლენინის ამ გენიალური დებულების საუცხოო ილუსტრაციას წარმოადგენს მონოპოლისტური კაპიტალიზმის კონფლიქტური და ნახტომისებური განვითარება.

წინააღმდეგ სოციალ - ფაშისტური და კონტრრევოლუციონური ტროცკის თეორიისა, ვითომც თანამედროვე კაპიტალიზმი წარმოადგენდეს თავისი განვითარების გეგმიურ და უკონფლიქტო პერიოდს, ლენინი გვასწავლის, რომ მონოპოლისტური კაპიტალიზმი არის მომაკვდავი, ლპობის პროცესში მყოფი კაპიტალიზმი. ეს არის ხანა კაპიტალისტური სისტემის ყველა წინააღმდეგობის გამწვავებისა, როგორც შრომასა და კაპიტალს შორის, ისე თვით კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის განაწილებული მსოფლიოს, ხელმეორედ გასანაწილებლად.

მსოფლიო უკვე დანაწილებულია მოწინავე კაპიტალისტურ მტაცებელ სახელმწიფოებს შორის. ხელმეორედ განაწილება შეიძლება მხოლოდ უაღრესად გამწვავებული ომით იმპერიალისტურ ქვეყნებ შორის, ყოველგვარი ომი — ეს არის კაპიტალისტური ქვეყნების მტაცებლური პოლიტიკის შედეგი. ამ უტყუარი დებულების ნათელი მაჩვენებელია უამრავი ომები. იაპონია-ჩინეთის ომი 1894 წელს კორეის დასაპყრობად. იტალია-აბისინიის ომი 1896 წელს, როდესაც იტალიის იმპერიალიზმი სასტიკად დამარცხდა, ინგლის-ბურების ომი 1902 წელს, ესპანეთ - ამერიკის ომი 1898 წელს, რუსეთ-იაპონიის ომი 1904-1905 წ., ბოსნიისა და გერცოგოვინის ანექსია ავსტრო-უნგრეთის მიერ 1908 წელს, მსოფლიო იმპერიალისტური ომი 1914-18 წლებში და სხვ.

იტალიის იმპერიალიზმის მიერ აბისინიასთან დაწყებული ომი იმ უდიდეს წინააღმდეგობათა შედეგია რომლებიც თან ახლავს თვისობრივად უფრო გამწვავებული ლპობის პროცესში მყოფ მომაკვდავ, მაგრამ ჯერ კიდევ ცოცხალ თანამედროვე კაპიტალიზმს, რომელიც თავისი სისტემის საერთო კრიზისს განიცდის, იტალია-აბისინიის ომი იმ მწვავე კონფლიქტების წინამორბედია, რომლებიც მზადდება აფრიკის მატერიკზე ამ უკვე დანაწილებული ქვეყნის ხელმეორედ დასანაწილებლად მთავარ მეტოქე იმპერიალისტურ სახელმწიფოებს შორის.

იტალიის იმპერიალიზმმა თავიდანვე კარგად იცოდა, რომ არც ერთი ნაჭერი მიწის მოპოვება არ შეიძლება მკაცრი ბრძოლის გადაუხდელად, იცოდა აგრეთვე, რომ ამისათვის საჭიროა საწარმოო ძალთა განვითარების აყვანა, სათანადო დონეზე, რაც მას კოლონიური ქვეყნების დაპყრობის საშუალებას მისცემდა. დიდ იმპერიალისტურ ქვეყნებს შორის მსოფლიოს დანაწილებაზე იტალიას ცოტა დაუგვიანდა. ხოლო როდესაც იგი ფეხზე დადგა, ძალღონე მოიკრიფა და ხმამაღლა მოითხოვა ადგილი კოლონიური ქვეყნების მზის ქვეშ, აღმოჩნდა, რომ მსოფლიო უკვე დაყოფილი იყო იმ მტაცებელ იმპერიალისტურ ქვეყნებს შორის, რომლებშიაც წარმოება უფრო ადრე განვითარდა, როგორიცაა ინგლისი და საფრანგეთი. თავისთავად ცხადია, იტალიის ყოველგვარი „გაფართოება“ შეიძლებოდა მომხდარიყო მხოლოდ ამ ორი მსხვილი იმპერიალისტური ქვეყნის ხარჯზე.

დღესდღეობით იტალიის იმპერიალიზმი თავს „დაჩაგრულად“ გრძნობს, უკმაყოფილოა მსხვილი კაპიტალისტური სახელმწიფოებისა, რომ მათ ვერსალის ხელშეკრულების დადებისას უკუაგდეს იტალიის ინტერესები კოლონიური და სამანდატო ქვეყნების განაწილების დროს. იტალიის იმპერიალიზმის მიერ საჭირო 180 გრადუსით შემოტრიალება 1915 წელს და „სამთა კავშირიდან“ ანტანტის მხარეზე გადასვლა მოხდა ლონდონის ხელშეკრულების დადების შემდეგ, რომლის ძალითაც „სამთა კავშირის“ დამარცხების შემდეგ იტალიას უნდა მიეღო:

1) ავსტრო-უნგრეთის მონარქიის ყოფილი ნაწილები: ჩრდილო-ტიროლი, ტრენტინო, ტრიესტი, გორიცა, გრადისკა, დალმაცია და ალბანეთის ქალაქი ავლონა.

2) პროტექტორატი ალბანეთზე და რამდენიმე კუნძული ეგეოსის ზღვაზე; ანტანტის მიერ ოფიციალურად ცნობა დოდეკანეზის კუნძულების დაპყრობისა, რაც იტალიამ განახორციელა 1911 წელს იტალია-თურქეთის ომის დროს;

3) საზღვრების გადასინჯვა და იტალიის კოლონიების გაფართოება ერითრეის, სომალის და ლივიის მახლობლად საფრანგეთ-ინგლისის ხარჯზე.

როდესაც მსოფლიო ომი დამთავრდა და გამარჯვებული მტაცებელი იმპერიალისტური ქვეყნების წარმომადგენლები ვერსალში შეიკრიბნენ ნადავლის გასაყოფად, მათ მადამ იმდენად უსაზღვროდ იმატა, რომ მათ ყოველგვარი დაპირება უკუაგდეს.

იტალიამ დალმაცია ვერ მიიღო. ალბანეთი დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადდა. ნაცვლად ქალაქ ავლონისა (ნავსადგური ადრიატიკის ზღვაზე), იტალიამ მიიღო კუნძული სასენო ავლონის პირდაპირ: რაც შეეხება პრეტენზიებს მცირე აზიაში, თურქეთის რევოლუციის გამარჯვების, გამო იტალიის მისწრაფებანი უშედეგო დარჩა.

გერმანიის კოლონიები განაწილებული იყო საფრანგეთსა და ინგლისს შორის, მცირე ნაწილი ხვდა აგრეთვე იაპონიას, ბელგიასა და პორტუგალიას.

ყველა ზემოთ ნაჩვენებ დაპირებიდან იტალიამ მიიღო მხოლოდ საზღვრების უმნიშვნელო შესწორება ყოფილ ავსტრო-უნგრეთის იმპერიასთან ბრენერის და ტიროლის ალპებში.

აქედან ნათლად ჩანს, რომ იტალიის იმპერიალიზმ მოტყუებული დარჩა მსხვილ იმპერიალისტურ ქვეყნებს შორის მსოფლიოს დანაწილების დროს, აქედანაც გამომდინარეობს იტალიის იმპერიალიზმის გააფთრებული ბრძოლა დღიდან ვერსალის ხელშეკრულებისა ვერსალის სისტემის რევიზიისათვის და დაყოფილ ქვეყნების ხელმეორედ გასანაწილებლად.

როდესაც ეს დანაწილება ხდებოდა, იტალიის იმპერიალიზმი სხვა იმპერიალისტურ ქვეყნებთან შედარებით თავს სუსტად გრძნობდა. მისი საწარმოო ძალთა განვითარების დონე შედარებით დაბალ საფეხურზე იდგა, ამიტომ იტალიის მონოპოლისტური კაპიტალიზმი მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში თავგამოდებით იბრძოდა იმისათვის, რომ გაეძლიერებინა თავისი ჩამორჩენილი წარმოება და შეექმნა ძლიერი ეკონომიური საფუძველი დაყოფილი ქვეყნების ხელმეორედ გასანაწილებლად შეტაკებისათვის.

ამ მხრივ იტალიის კაპიტალმა მნიშვნელოვანი ნახტომი გააკეთა. დღევანდელი იტალიის ეკონომიკა საფრანგეთისას თითქმის არ ჩამოუვარდება. თუ მივიღებთ 100-ად 1913 წლის საწარმოო პროდუქციის ინდექსს, 1929 წელს ჰქონდათ, იტალიას — 139, საფრანგეთს — 138, გერმანიას — 119, ინგლისს —97. ამ ციფრების მიხედვით იტალიამ საფრანგეთს გაუსწრო ერთი პუნქტით, გერმანიას — 20-ით და ინგლისს 42-ით; წარმოების ზრდასთან ერთად იზრდებოდა წარმოების კონცენტრაცია და ცენტრალიზაცია. 1927 წლის აღწერის მიხედვით მსხვილი საწარმოო დაწესებულებანი შეადგენდნენ იტალიის მთელ საწარმოთა 1,3 პროცენტს, სადაც ჩაბმული იყო საწარმოო მუშათა მთელი რაოდენობის 46,3 პროც. ხოლო საწარმოთა დანარჩენი 98,7 პროცენტი მუშათა 53,7 პროცენტს აერთიანებს.

ავტოწარმოებაში ცნობილი ფირმა „ფიატი“ უშვებს მთელი ავტოპროდუქციის თითქმის 85 პროცენტს. შავი მეტალურგიის დარგში ერთ ტრესტში კონცენტრირებულია რკინის მთელი პროდუქციის 75 პროცენტი, ქიმიის წარმოებაში „მონტეკატინის“ ტრესტს მთელი ქიმიური პროდუქციის 60 პროცენტი აქვს.

რამდენიმე ბანკი, როგორიცაა „ბანკა კომერჩიალე“, „კრედიტო იტალიანო“ და „ბანკა დი რომა“, 1929 წელს კონტროლს უწევდნენ იტალიის მთელი სააქციო კაპიტალის 66 პროცენტს.

წარმოების კონცენტრაციისა და ცენტრალიზაციის ზრდასთან ერთად იტალიამ დიდი ნახტომი გააკეთა აგრეთვე შეიარაღების მხრივ. ამ ფაქტის ილუსტრაციისათვის საჭიროა მოვიყვანოთ რამდენიმე ციფრი საფრანგეთ-ინგლის-იტალიის იმპერიალიზმის შეიარაღების ზრდის პროცესის შესახებ ამ უკანასკნელი ათეულ - წლების განმავლობაში.

ხმელეთის ჯარების რიცხვი

(ათასობით)

	1901 წ.	1914 წ.	1931 წ.
ინგლისი	424	438	421
საფრანგეთი	573	752	724
იტალია	245	273	491

საზღვაო ფლოტის ტონაჟი

(ათას ტონობით)

	1907 წ.	1912 წ.	1931 წ.
ინგლისი	1042	1980	1207
საფრანგეთი	616	680	488
იტალია	236	550	301
			მშენ. 97,1

სამხედრო თვითმფრინავები

	1914 წ.	1918 წ.	1931-32 წ
ინგლისი	30	1.758	2.328
საფრანგეთი	556	3.321	4.700
იტალია	142	812	2.000

ეს შედარებითი ციფრები ნათლად გვაჩვენებენ იტალიის სამხედრო ძალთა საგრძნობად გაძლიერებას 1914 წელთან შედარებით.

თავით ფეხებამდე შეიარაღებული იტალიის იმპერიალიზმი თავის „ვიწრო“ ჩარჩოებში ვეღარ ეტევა. მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში იტალია გააფთრებით იბრძვის დაკარგული დროის ასანაზღაურებლად. მისი კოლონიური პოლიტიკისა და საგარეო ექსპანსიის მთავარი მახვილი მიმართულია აფრიკისა და ბალკანეთისაკენ. აფრიკის საკითხი დიდი ხანია აწუხებს იტალიის იმპერიალიზმს. იგი დიდი ხანია ცდილობს მაგრად მოიდგას ფეხი ამ მიდამოებში საფრანგეთ - ინგლისის საწინააღმდეგოდ. 1890—94 წლებში იტალია იპყრობს აფრიკის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილებს — ერიტრეას და სომალის. 1912 წელს თურქეთთან ომის შემდეგ იტალია იკავებს ლივიის და დოდეკანეზის კუნძულებს. კუნძულ როდოსს და სხვ. იტალიის მიერ დაპყრობილი ტერიტორიები ერთი - შვიდად აღემატება თვით იტალიას. მაგრამ. მიუხედავად ამისა. იტალიის მონოპოლისტური კაპიტალი კმაყოფილი არ არის, მეტროპოლიის მუშათა ულმობელი ექსპლოატაციით გასიებული ლეში თავს ვიწროდ გრძნობს ამ ტერიტორიაზე და იბრძვის მის გასაფართოებლად.

იტალია დღემდის ვერ ბედავდა შეიარაღებული ძალით გალაშქრებას, ვინაიდან ეს ნიშნავდა უშუალო შეტაკებას მასზე ძლიერ და გამოცდილ მტაცებელ იმპერიალისტურ ქვეყნებთან. „იტალიას სურს მსოფლიო სახელმწიფო გახდეს, ვინაიდან მას უკვე მოეპოვება იმის საშუალებანი, რომ გაავრცელოს თავისი საქმიანობა ხმელთაშუა ზღვის ვიწრო ფარგლებს გარეთაც“ (ფაშისტურ პარტიის დეპუტატის ბრუნელის მიერ 30 ოქტომბერს ბუდა-პეშტში წარმოთქმული სიტყვა: „ფაშიზმი და აფრიკაზე გალაშქრება“).

ათეული წლების განმავლობაში იტალიის ფაშიზმის მიერ შემუშავებული გეგმა განხორციელების პროცესშია. იტალიის იმპერიალიზმმა პირველი ტყვია გაისროლა აბისინიის წინააღმდეგ.

აბისინიის დაპყრობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს იტალიის მონოპოლისტური კაპიტალიზმისათვის. ამით იგი შეიძენს ნედლი მასალის დაუშრეტელ წყაროს და მნიშვნელოვან ბაზარს საქარხნო პროდუქციის დაუბრკოლებლივ გასასაღებლად; გარდა ამისა. იტალიის იმპერიალიზმი ცდილობს შეჰქმნას ძლიერი დასაყრდენი მსოფლიოს ამ ნაწილში, რაც საშუალებას მისცემს მას უზრუნველჰყოს თავის მისწრაფებათა დაკმაყოფილება. გამწვავებული კოლონიური შეტაკების დროს.

აფრიკის ამ უნაყოფიერესი ნაწილის დასაპყრობათ დიდი ხანია სწარმოებს გააფთრებული ბრძოლა მსხვილ იმპერიალისტურ ქვეყნებს შორის, სწორედ ეს არის მიზეზი, რომ აბისინიამ დღემდის ფორმალურად დამოუკიდებელი ქვეყნის სახე შეინარჩუნა. მართალია, იგი ფორმალურად დამოუკიდებელია, მაგრამ ფაქტიურად იტალია-ინგლის-საფრანგეთის იმპერიალიზმის გავლენის სფეროშია.

ხანგრძლივი დავის შემდეგ 1931 წელს სამი მტაცებელი იმპერიალისტური ქვეყანა შემდეგზე შეთანხმდნენ:

1) ინგლისი იღებს თავის გავლენის სფეროდ ნილოსის სათავეებს და ცანის ტბის რაიონს.

2) საფრანგეთი — რკინიგზის ზონას (ადის-აბება-ჯიბუტი) და სომალის სათანადო ინტერლანდს.

3) იტალია - აბისინიის დასავლეთ ნაწილს.

ამ შეთანხმების მიხედვით ცანის ტბის მიდამოები იმ მდინარეთა სათავეებით, რომლებიც ინგლისის აფრიკის კოლონიების მთავარ არტერიას წარმოადგენენ, და იმ რკინიგზის (ადის-აბება-ჯიბუტი) ზონით. რომლითაც აბისინიის საექსპორტო საქონლის 80 პროცენტი გადის. ინგლის-საფრანგეთის იმპერიალიზმის, საჯიჯგნად რჩება.

1896 წ. აბისინიასთან ომში დამარცხების შემდეგ იტალია კბილებალესილი იბრძოდა და ქმნიდა შესაფერ პირობებს დიდი ხნის მისწრაფების სისრულეში მოსაყვანად. გათამამებული კაპიტალისტური სისტემის ყველა წინააღმდეგობის გამწვავებით. ჩინეთში იაპონიის ექსპანსიით და ერთა ლიგის უმოქმედობით იტალიის ფაშიზმი ტყვიით ალაპარაკდა.

იტალიის მიერ ისროლილმა ტყვიამ ერთა ლიგის დადუმებული ძვლები ოდნავ გამოაცოცხლა. ამ მომაკვდავმა ორგანიზაციამ თავი წამოჰყო, რადგან მის უძლიერესი წევრთა ინტერესები საფრთხის წინაშე დადგა.

სანქციები იტალიის წინააღმდეგ, რის ირგვლივაც განუწყვეტელი ფუსფუსია დღემდის. მთლიანად ძნელი განსახორციელებელი აღმოჩნდა, ამას ხელს უშლის კაპიტალისტური ქვეყნების მეტოქეობა, ის დაუძლეველი შინაგანი წინააღმდეგობანი, რომლებიც თან ახლავს კაპიტალისტურ სისტემას, და რომელთა დაძლევაც შეუძლებელია სოციალისტური რევოლუციის მოუხდენლად ჯერჯერობით ძნელია იმის თქმა, თუ როგორ [illegible] იტალია აბისინიის [illegible] და. იტალიისათვის კი ავანტიურა არც თუ ისე იოლი გამოდგა.

◆

ალ. დუმბაძე

საბჭოები წარსდგნენ ამომრჩეველთა წინაშე

საქართველოს რაიონების დიდ უმრავლესობაში საბჭოების ანგარიშების წინასწარი სამზადისი დამთავრდა. ზოგან (აჭარისტანი, ფოთი ბორჯომი, ხაშური, ქუთაისი ვანი, მახარაძე, ლანჩხუთი და სხვ). უკვე დაიწყო საბჭოების ანგარიშგება. რაიონებში ანგარიშგების სამზადისი მჭიდროდ იყო დაკავშირებული სასოფლო საბჭოების საკავშირო დარგობრივ კონკურს-შეჯიბრებასთან, საწარმოო-საფინანსო გეგმების დროზე და გადაჭარბებით შესრულებასთან განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა კონკურს-შეჯიბრების მსვლელობაში გამომჟღავნებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრას. საბჭოების საკავშირო კონკურსმა და საანგარიშო კამპანიამ, სადაც ეს უკანასკნელი სათანადოდ იყო შეფასებული, უდიდესი ნაყოფი გამოიღო გეგმების დროზე და გადაჭარბებით შესრულების მხრივ.

1935-36 სასწავლო წლის მომზადებულად შეხვედრაზე გამოცხადებულმა კონკურსმა მნიშვნელოვანი შედეგები მოგვცა. წლის შარშანდელზე უფრო მომზადებული შევხვდით სასწავლო წელს. საგრძნობლად გაიზარდა მოსწავლეთა და სკოლების რაოდენობა. არასრული საშუალო სკოლების რიცხვი 1934 წელთან შედარებით 23,5 პროც. გაიზარდა, საშუალო სკოლების 18,3 პროც. მოსწავლეთა რაოდენობა დაწყებით სკოლებში გაიზარდა 7,5 პრ არა სრულ საშუალო სკოლებში — 4,4 პრ. საშუალო სკოლებში — 57.2 პრ. ასი პროცენტით შესრულდა სასწავლო ნივთების, სასკოლო ბიბლიოთეკების, პარტების, შეშის მომარაგებისა და სკოლების რემონტის გეგმები.

ასეთივე წარმატებით დამთავრდა საგზაო მშენებლობაზე გამოცხადებული საკავშირო კონკურსიც. ახალი გზების მშენებლობის წლიური გეგმა საქართველოში 1 ნოემბრისათვის შესრულებულია 136.9 პროცენტით: გზების კაპიტალური შეკეთების გეგმა — 126,1 პროც. ახალი ხიდების მშენებლობა — 135.8 პროც.; ხიდების შეკეთება — 219 პროც.; ქვის მოზიდვა - დამზადება — 298 პროც.; საგზაო მშენებლობაზე მოსახლეობის შრომითი მონაწილეობა — 121,9 პროც. მოხდა გზების გამწვანება 3.143 კილომეტრის მანძილზე. საგზაო მშენებლობის გეგმის გადაჭარბებით შესრულების მხრივ შემდეგმა რაიონებმა ისახელეს თავი: აღბულახის (გეგმა შესრულდა 300 პროც.), მახარაძე — (1434,6 პროც.), ბოგდანოვკა (176.6 პროც.), ბორჯომის (128,8 პროც.), ჭიათურა (132.4 პროც.), ჯულფის (143,9 პროც.), ლანჩხუთის (127 პროც.), ქუთაისი— (128.8 პროც.), სამტრედია — (134.5 პროც.) და სხვ.

წინასწარი შედეგების მიხედვით თვალსაჩინო შედეგებს გვაძლევს სოციალისტური მესაქონლეობის განვითარებაზე და მეურნეობის სხვა დარგზე გამოცხადებული საკავშირო კონკურს-შეჯიბრებაც.

საბჭოების კონკურსმა და საანგარიშო კამპანიამ საგრძნობლად გააუმჯობესა საბჭოების მასობრივი ორგანოების — სექციებისა და სადეპუტატო ჯგუფების მუშაობა. მარტო სასწავლო წლის სამზადისისა და მესაქონლეობის განვითარების კონკურსში ჩაბმულია ყველა სასოფლო საბჭოს 1017 სექცია და 2.843 სადეპუტატო ჯგუფი.

ასეთია მოკლედ ის მიღწევები, რომლითაც ჩვენი მოწინავე რაიონები ხვდებიან საბჭოების ანგარიშგებას. საბჭოები დღეს აჯამებენ როგორც თავიანთი მუშაობისა და საბჭოების საკავშირო დარგობრივი კონკურსების შედეგებს. ამომრჩევლებთან ერთად სახავენ მომავალ სამოქმედო პროგრამას. სამწუხაროდ ასეთ მიღწევებს ყველა რაიონი ვერ დაიქადებს. ზოგიერთი რაიონის ორგანოებმა საკმაოდ ვერ შეაფასეს საბჭოების კონკურსის მნიშვნელობა საგზაო მშენებლობაში, ვერ გამოიყენეს მთელი შესაძლებლობა გეგმების შესრულებისათვის, არ წარმართეს სასოფლო საბჭოების, სექციების, სადეპუტატო ჯგუფებისა და სოფლის აქტივის ყურადღება ამ მნიშვნელოვანი საკითხებისაკენ. ასეთებია ბორჩალოს, ლუქსემბურგის, ჩხოროწყუს, ლაგოდეხის, თიანეთის, ცხაკაიას და ტფილისის რაიონები. მაგალითად, საგზაო მშენებლობის წლიური გეგმა ბორჩალოს შესრულებული აქვს მხოლოდ 20,7 პროცენტით, ტფილისის რაიონს — 65,7 პროცენტით.

ასეთსავე შეუფასებლობას იჩენს ზოგიერთი რაიონი საბჭოების ანგარიშების მხრივაც. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოების ანგარიშების სამზადისი, საქ. ცაკის დადგენილებით, უნდა დამთავრებულიყო ა-წ 5 ნოემბრამდე, მთელ რიგ რაიონებს (ყარაია. აბაშა, ადიგენი, აღბულაღი, ამბროლაური, ბაღდათი, ბაშკიჩეთი, ბოგდანოვკა, გურჯაანი, დუშეთი, კასპი, ლაგოდეხი, ლუქსემბურგი მარტვილი და სხვ.) დღემდე არ გაუშლიათ ანგარიშგების კამპანია. არა ხდება ამომრჩეველთა განაწესების შესრულების შემოწმება, აგრეთვე საბჭოების, სარევიზიო კომისიების და ცალკეული დეპუტატების მუშაობის თვითშემოწმება (წალკა. ბაშკიჩეთი, ბორჩალო). ყარაიის რაიონში ჯერ კიდევ არ არის გამოყოფილი და სათანადოდ გაფორმებული საანგარიშო უბნები, არ არის შედგენილი ანგარიშგების კალენდარული გეგმა. უფრო მეტი: ყარაიას ზოგიერთ სასოფლო საბჭოს არც კი აღმოაჩნდა ამომრჩევლების განაწესი, რომელიც აუცილებლად უნდა ინახებოდეს და სისტემატურად ხდებოდეს მისი შესრულების შემოწმება. თითქმის ასეთივე მდგომარეობაა წალკის რაიონშიც.

ვერ დგას თავის სიმაღლეზე საკონკურსო კომისიის მუშაობა აგრეთვე ქ. ფოთში. საქალაქო და სასოფლო საბჭოების საანგარიშო კამპანია ფოთში არ არის დაკავშირებული საბჭოების კონკურს-შეჯიბრების საკითხებთან. ფოთის საქალაქო საკონკურსო კომისიამ (თავ-რე ჯიბლაძე) ვერ უზრუნველყო საბჭოების საკავშირო დარგობრივი კონკურსის ყოველდღიური კონკრეტული და ოპერატიული ხელმძღვანელობა; საკონკურსო კომისია არ იკრიბება და თავის სხდომებზე არ მოუსმენია კონკურსში ჩაბმული სასოფლო საბჭოების, სექციების, სადეპუტატო ჯგუფების, საქალაქო საბჭოს განყოფილებების, პროფკავშირების, პრესის და სხვა რაიონული ორგანიზაციების მოხსენებები კონკურს-შეჯიბრებაში მონაწილეობის შესახებ. საკონკურსო კომისიას 20 ნოემბრისათვის არ ჰქონდა დამუშავებული სასოფლო საბჭოს მდივნების, საბჭოების შენობათა კეთილმოწყობის, საბიბლიოთეკო და საფოსტო მუშაობის საუკეთესოდ დაყენებისთვის სამი თვით წინათ გამოცხადებული საკავშირო კონკურს-შეჯიბრების მაჩვენებლები. სატრანსპორტო, სადეპუტატო ჯგუფებში არ იყო დამუშავებული ა-წ მაისის დამლევს გამოცხადებული ტრანსპორტისათვის დახმარების კონკურსის მაჩვენებლები და სხვა.

საბჭოების კონკურს-შეჯიბრება და საანგარიშო კამპანია უნდა გადავხადოთ სტახანოვისებური მოძრაობის დანერგვის საქმედ საბჭოების და თვითეულ დეპუტატის ყოველ დღიურ მუშაობაში.

ჩვენი საწარმოების სტახანოველები: მრანდავი ივ. კისელიოვი (კალინინის სახ. ქარხანა), მქსოველი ხინა შაქვილაძე (მაუდის ფაბრიკა) მეყალიბე ლ. შირკინი (კალინინის სახ. ქარხანა) და მქსოველი მარია კრიჩეტოვა (მაუდის ფაბრიკა)

ჩამორჩენილიდან—მოწინავე!

ჩაისა და სხვა სუბტროპიკული კულტურების განვითარების ამოცანა სათანადო რაიონების წინაშე აყენებს საგზაო მშენებლობის გაშლისა და არსებული გზების კულტურული მოვლა - პატრონობის საკითხს.

ზუგდიდის რაიონი, ამ მხრივ მთელი რიგი წლების განმავლობაში ჩამორჩენილი იყო.

მიმდინარე წელს კი მდგომარეობა არსებითად შეიცვალა. საკ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტის დადგენილების საფუძველზე, მთავარი ყურადღება მიექცა რესპუბლიკური და სარაიონთაშორისო მნიშვნელობის გზების მშენებლობას, პირველ რიგში კი ზუგდიდი—ჯვარის გზის მშენებლობას. ამ გზის მნიშვნელობა მეტად დიდია, რადგან იგი სვანეთს საშუალებას აძლევს დაუკავშირდეს სხვა რაიონებს, ამასთან ერთად მას დიდი მნიშვნელობა აქვს ინგურის ქაღალდის კომბინატისათვის ხე-ტყის მიწოდებაში.

„საქგზატრანსის" დახმარებითა და რაიონის მშრომელი მოსახლეობის აქტიური მონაწილეობით ახლა ზუგდიდის რაიონის ტერიტორიაზე ეს გზა სავსებით აღდგენილია. იგი ერთ-ერთ საუკეთესო გზას წარმოადგენს.

ამხ. ბერიამ მითითება მისცა რაიონის ხელმძღვანელ ამხანაგებს, რომ ასევე წარმატებით შეესრულებინათ რესპუბლიკური მნიშვნელობის — ზუგდიდ - წალენჯიხისა და შუა სამეგრელოს გზების მშენებლობა. მართლაც მოხდა ძალების დარაზმვა ამხ. ბერიას ამ დავალების შესასრულებლად. კოლმეურნეობებში გამოიყო ბრიგადები, საბჭოთა მეურნეობებში და მტს-ებში შეიქმნა საგზაო რაზმები, სასოფლო საბჭოებსა და კოლმეურნეობებს მიამაგრეს გზების გარკვეული ნაკვეთები. რაიაღმასკომის საბჭოს პლენუმზე სპეციალურად განიხილეს გზების მშენებლობის საკითხი. ყოველივე ამან სათანადო ნაყოფი გამოიღო.

საგზაო სექციები აქტიურად ჩაებნენ მუშაობაში. რაიონის საგზაო შტაბმა და გაზეთმა „კომუნარმა" გამოაცხადეს კონკურსი საგზაო მშენებლობაში შრომითი მონაწილეობის გეგმების საუკეთესო შესრულებაზე. კონკურსში ჩაება თითქმის ყველა სასოფლო საბჭო, სექცია, კედლის გაზეთი და ცალკეული მუშაკები.

ყველა ამ ღონისძიების შედეგად რაიონმა საგზაო მშენებლობაში დიდ გარდატეხას და წარმატებებს მიაღწია. ახლა 15 კილომეტრის მანძილზე საუკეთესოდ არის შეკეთებული ზუგდიდ - წალენჯიხის გზა, რომელიც წალენჯიხისათვის რკინისგზასთან ერთადერთი დამაკავშირებელი საშუალებაა და რომელიც დღევანდლამდე ყოვლად აუტანელ მდგომარეობაში იყო.

შუა სამეგრელოს გზა ორი თვის წინათ გაუვალი იყო, დღეს კი სავსებით აღდგენილია. ეს გზა ერთმანეთთან აკავშირებს ზუგდიდის და ჩხოროწყუს რაიონებს და ზუგდიდის, ჩხოროწყუს, მარტვილის და ხონის რაიონებს ქუთაისთან. ამგვარად, როგორც ვხედავთ, ამ გზას უაღრესად დიდი სამეურნეო და პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს.

საკავშირო და რესპუბლიკური მნიშვნელობის გზების გარდა წელს გაკეთდა სარაიონო და სარაიონთაშორისო მნიშვნელობის რამდენიმე გზა. დამთავრდა ზუგდიდ - აბასთუმნისა და ზუგდიდ-ნარაზენის გზების მშენებლობა. ახალი გზები გაიყვანეს ნარაზენის საბჭოთა მეურნეობიდან. აბასთუმნამდე, ჭაქვინჯიდან — ნარაზენამდე, კოკიდან— ორსანტიამდე, დარჩელიდან — განმუხურამდე, ორსანტიიდან — დარჩელამდე, შამგონადან; კახათით.—ზუგდიდამდე, ცაიშიდან — დიდი ნეძამდე. ცაიშიდან — ოქტომბრამდე, ცაიშიდან—აბასთუმნამდე და სხვა.

ამგვარად ზუგდიდის რაიონი დაიფარა გზების ფართო ქსელით.

თვით ქ. ზუგდიდშიც გაჩაღდა საგზაო მშენებლობა და ქუჩების კეთილმოწყობა. ქალაქის 3 მთავარ ქუჩაზე დღეს დიდი მუშაობაა გუდრონის დასაგებად. სწარმოებს ამხ. ბერიას, სოხუმისა და სენაკის ქუჩების გუდრონირება (5 კილომეტრი). მუშაობა გაცხოველებით მიმდინარეობს და დასასრულს უახლოვდება. მთავრდება მუშაობა აგრეთვე ჯვარისა და სოხუმის გზების რკინიგზის სადგურთან შემაერთებელი ქუჩის გასაყვანად 2 კილომეტრზე.

რაიონმა ჯერ კიდევ 10 ოქტომბრისათვის 100 პროც. შეასრულა როგორც საგზაო მშენებლობაში მოსახლეობის შრომითი მონაწილეობის, ისე თვით გზების მშენებლობის გეგმა. მაგრამ ამით სრულიადაც არ დაკმაყოფილებულან რაიონის ორგანიზაციები. რაიონის ყველა სოფელში დღესაც დიდი მუშაობაა საგზაო მშენებლობის გეგმების გადაჭარბებით შესასრულებლად.

საგზაო მშენებლობის გეგმების შესრულებაში თავი ისახელეს **ცაიშის** (თავმჯდომარე **ქარჩავა**. საგზაო სექციის ხელმძღვანელი **შამუგია**), **ახალსოფლის** (თავმჯდომარე **როგავა**, საგზაო სექციის ხელმძღვანელი **ლ. მაქაცარია**), ნარაზენის, ჯვარის, ანაკლიის, კორცხელის, ორსანტიის და ოქტომბრის სასოფლო საბჭოებმა.

სამწუხაროდ ჩამორჩენილი სოფსაბჭოებიც არიან. ასეთებია: კოკი, გრიგოლიში, აბასთუმანი, ჭითაწყარო და სხვ. მათ თავი ვერ გაართვეს საქმეს, უუნარონი აღმოჩნდნენ საპასუხისმგებლო დავალების შესრულებაში. მათ კიდევ აქვთ დრო, რომ ჩამორჩენას დააღწიონ თავი. ეს მათ უნდა შესძლონ.

გარდატეხა და პირველი წარმატებები მოპოვებულია. ახლა საჭიროა, რომ აიღებული ტემპის შეუნელებლად ვაშენოთ კარგი, კულტურული გზები და კარგად მოვუაროთ მას.

ი. იზორია.

□ □ □ □ □

საბჭოთა ვაჭრობის წარჩინებულთა შეკრება

11 დეკემბერს, ამიერ-კავკასიის შინავაჭრობის კომისარიატში, გაიხსნა საბჭოთა ვაჭრობის და გემოკვების საუკეთესო დამკვრელთა და წარჩინებულთა შეკრება.

საბჭოთა ვაჭრობის და გემოკვების დარგში სტახანოვური მოძრაობის დანერგვის შესახებ ვრცელი და შინაარსიანი მოხსენება გააკეთა ამიერ-კავკასიის შინავაჭრობის კომისარმა ამხანაგმა **ა. ფანცხავამ**.

შეკრებაზე სიტყვებით გამოვიდნენ შემდეგი ამხანაგები: **ს. ა. ამირჯანოვი** (ბაქო), **გ. გაბუნია** (ბათომი), **ლ. შოშიაძე** (ტფილისი), **დანელიანი** (ერევანი), **იახლიაევი** (ბაქო), **ტალვერდიაევი** (ბაქო), **ვ. ბელიაკოვი** (ტფილისი), **მანთაშევი** (ბაქო), **ხანანაშვილი** (ქუთაისი), **ბუშაკოვი** (ბაქო), **აკოპოვი** (ახნავთი), **ლომიძე** (ტფილისი), **შირაევი** (ტფილისი), **სარქისოვი** (ბაქო), **ალიფოვა** (ბაქო), **გიორგაძე** (ტფილისი), **მიუსიანი** (ერევანი), **გუნია** (ფოთი), **მარკოვა** (ბაქო), **სურგულაძე** (ტფილისი), **პრიგილსკი** (ერევანი), **ჯილაური** (ტფილისი), **შარიფოვი** (აზერბეიჯანის შინავაჭრობის კომისარიატი), **გიორგაძე** (საქართველოს შინავაჭრობის კომისარიატი), **რინენბერგი** (ტფილისი).

ამხანაგი **ალექსი ლომიძე** (ტფილისი). სახქვებვაჭრობის № 8 მაღაზიის პასუხისმგებელი გამყიდველი აღნიშნავს, რომ ყოველდღიურად ჰყიდის 1.300 კილო პურს, ნაცვლად 400 კილოსი. ამას მიაღწია სავაჭრო მაღაზიის ადრე გაღებით და სამუშაო ადგილის კარგი ორგანიზაციით

ამხ. **ამირჯანოვი** (ბაქო) ფეხსაცმელების მაღაზიის განყოფილების გამგე, ამბობს, რომ ტექმინიმუმი ჩააბარა ფრიადზე, სამუშაოზე ცხადდება ადრე, საქონელს ალაგებს ხარისხის და ნომრების მიხედვით, წინასწარ ამზადებს ჩეკებს და სხვა. ამიტომ **ამირჯანოვმა** ოქტომბერში გაჰყიდა 47 ათასი მანეთის საქონელი (გეგმით გათვალისწინებული იყო 26 ათასი მანეთის), ხოლო ნოემბერში გაჰყიდა 56 ათასი მანეთის ფეხსაცმელი.

ამხანაგი **რინენბერგი** (ტფილისი) № 1 „გასტრონომის" დირექტორი აღნიშნავს რომ პროფ. და პარტორგანიზაციასთან ერთად მიიღო ყოველივე ზომა სტახანოვური მოძრაობის დანერგვისათვის. 20 ნოემბერს დამკვრელებს და წარჩინებულებს მიეცათ ინდივიდუალური გამომუშავების ნორმები და მოეწყო გამომუშავების ინდივიდუალური აღრიცხვა, ამით შეიქმნა სტახანოვური მუშაობის გამომჟღავნების შესაძლებლობა.

მაგ. 20 ნოემბერს № 1 „გასტრონომის" დახლის მუშაკმა ამხ. **ვასმაჯიევმა** (კომკავშირელი 1924 წლიდან) ივაჭრა 2496 მანეთი, ნაცვლად ნორმით გათვალისწინებული 1420 მანეთისა. ის ყოველდღიურად უფრო და უფრო აჭარბებს ნორმებს მაგალითად, 6 დეკემბერს ივაჭრა 3.035 მან.

ამავე „გასტრონომის" დახლის მუშაკმა ამხანაგ **ოჯახიანმა** 20 ნოემბერს ივაჭრა 2.906 მანეთი, ნაცვლად ნორმით დაწესებული 1.192 მანეთისა, ხოლო 7 დეკემბერს ივაჭრა 4.621 მანეთი. ასეთსავე შედეგებს მიაღწიეს **ხაჩატუროვმა**, **ბელიაკოვმა** და სხვა.

საინტერესოა თუ რა მეთოდებით მიაღწიეს მათ ამ შედეგებს. ამხანაგ ვასმაჯიევმა გეგმების ერთი-ორად და მეტით შესრულება შესძლო შემდეგი მეთოდების გამოყენებით: სამუშაოზე ის ცხადდება ნახევარი საათით ადრე, სამუშაო ადგილთან მიაქვს ყველა აუცილებელი საქონელი და მოხერხებულად ალაგებს მათ. სავსებით დაეუფლა მუშაობის ტექნიკას. კარაქის და ყველის წინასწარ დაჭრის, აწონის და გახვევის შემოღებით მიაღწია რიგების ლიკვიდაციას.

ამხანაგ **ვასმაჯიევის** ხელფასი მნიშვნელოვნად გაიზარდა, მას მტკიცე განაკვეთით ეკუთვნოდა 200 მანეთი, ფაქტიურად ნოემბერში (მხოლოდ 20 ნოემბრიდან ხდება მუშაობის ინდივიდუალური აღრიცხვა), მან აიღო 290 მანეთი მსგავსი მიღწევები აქვთ ოჯახიანს, ბელიაკოვს და სხვებს.

შეკრების მონაწილეებმა იკისრეს ვალდებულება თავის გამოცდილების საფუძველზე, აჩვენონ დახლის მუშაკებს სტახანოვური მუშაობის მეთოდები და სწრაფად გაავრცელოს იგი საბჭოთა ვაჭრობაში

სანდრო ეული

ვარსკვლავი და არწივი

დიადი წლები დგანან მთებივით,
მიწა მორთულა ქსოვილით მზისა,
მიწა მაღალ მთებს იგრეხს რქებივით,
იხუტებს ვარსკვლავს კრემლში გაზრდილსა.
თვრამეტი წელი ფიქრად დაქროდა
გაუგებარი წუხილი ერთი,
ჩიავს კედლებთან კრემლის დაქონდა
გრძნობა მლოცვარე და აზრი მკვეთრი;
კრემლის კოშკებზე რატომ ეკიდოს
ვით საფრთხობილა წარსულის ლანდი?..
— თვრამეტი წელი რომ არ გეზიდოს,
გული, წავლეკდა მაშინ სხვა დარდი,
მავზოლეის წინ დარაჯის თვალი
ხშირად არწივს ჩრდილს აუვსია,
დარაჯს ფიქრებში შეშველი ხმალი
არწივის გულს გამოუსვა
კმარა, — ღიმილით იყო ნათქვამი,—
კრემლი ვარსკვლავებს გადაებაროს, —
კოშკზე წამოჯდეს ხუთქიმიანი, —
ჩვენს მიწას შუქი გადაელვაროს...

○

და ეს ვარსკვლავი კრემლს თავს ადგია,
ის სხივებს ათოვს წითელ მოედანს,
მუზეუმში კი არწივი გდია,
ვით რომანოვთა ძველი დროება.

□ □ □

მოვიპოვეთ გამარჯვება

(კოლმეურნეობის თავმჯდომარის წერილი)

ჩაი ჩვენი კოლექტივის (**წალენჯიხის** რაიონი, სოფ. ნაკიფუ **სტალინის** სახელობისა) წამყვანი კულტურაა, რომელიც გადაჭიმულია 104 ჰექტარზე. აქედან სრულმოსავლიანია 76.8 ჰექტარი. წელს ბრწყინვალედ შევასრულეთ ჩაის მწვანე ფოთლის წლიური დავალება. 16.100 კილოგრამის ნაცვლად სახელმწიფოს ჩავაბარეთ 19.600 კილოგრამი.

ჩვენთან ყოველ კოლმეურნეს შეგნებული აქვს, რომ 1936 წ. ჩაის უხვი მოსავლის ბედი ახლა წყდება ამიტომ არის, რომ საშემოდგომო-საზამთრო სამუშაოები დამკვრელურად გავაჩაღეთ. ჩაისათვის ნიადაგი მოვამზადეთ 2,5 ჰექტარზე, გეგმის ასი პროცენტი.

პატიოსანი მუშაობის და აგროტექნიკური ღონისძიების კარგად შესრულებით სიმინდის მოსავალიც გავადიდეთ. წელს გეგმით გათვალისწინებულ 160 ცენტნერის ნაცვლად სიმინდი მივიღეთ 212 ცენტნერი.

თამბაქოს მხრივაც მოვიპოვეთ გამარჯვება. მოსავალი 1500 კილოგრამის მაგიერ მივიღეთ სულ 2.150 კილოგრამი.

სოიას ვალდებულებაც პირნათლად მოვიხადეთ და სახელმწიფოს ჩავაბარეთ 24 ცენტნერი.

დღითიდღე იზრდება ჩვენი კოლექტივის საწარმოო საშუალებანი. ავაგეთ ბოსელი 100 სული პირუტყვისათვის. ჩვენი მუშა-პირუტყვი მოთავსებულია სუფთა, სინათლიან და თბილ ბოსელში.

ავაგეთ ორი სასიმინდე. გვაქვს თამბაქოს 4 ფარდული 6 თვალიანი. ახლო ხანში დავამთავრებთ სასილოსე კოშკის აგებას 30 ტონის ტევადობით. საჭირო აგური ადგილობრივ დავამზადეთ.

კოლექტივთან არსებობს მეძროხეობის ფერმა. წელს ამისათვის შევიძინეთ 20 ჯიშიანი დეკეული.

ჩვენი კოლექტივის განმტკიცების გამო მშრომელი ერთპიროვნული მეურნენი გვთხოვენ მივიღოთ კოლექტივში. 1934 წ. კოლექტივში გაერთიანებული იყო 90 კომლი, ახლა ირიცხება 106 კომლი — 350 წევრით;

გვყავს საუკეთესო დამკვრელი კოლმეურნეები, თავგამოდებით რომ მუშაობენ. და სამუშაო ნორმებს გადაჭარბებით ასრულებენ. ასეთებია: **ნ. ლუკავა** (გამომუშავებული აქვს 282 შრომადღე), **ილ. მალაშხია** გამომუშავებული აქვს 251 შრომადღე, **მ. კვარაცხელია** —260, **გ. ლუკავას** — 225 შრომადღე.

ჩვენი კოლმეურნე ქალები მამაკაცებს არ ჩამოუვარდებიან მუშაობაში. მათ მზრუნველობით ვეპყრობით. წელს კოლმეურნე ქალები ჩაის კრეფის ნორმებს ერთი ორად ასრულებდნენ. მაგალითად, **მარო მალაშხია** 6 კილოგრამის ნაცვლად დღეში ჰკრეფდა 14 კილოგრამს. **თეკლე მალაზონია** — 13 კილოს, **ნატა ლუკავა** კი — 12-ს.

ჩვენი საყვარელი ბელადის ამხ. **სტალინის** მითითებას რომ თვითეულ კოლმეურნეს და ერთპიროვნულ მეურნეს თავის საკარმიდამოზე ჰქონდეს არა ნაკლებ 25—40 ძირი ციტრუსოვანი ნარგავი — კოლმეურნეები უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდნენ. გადაწყვეტილი გვაქვს კოლმეურნეებს საკარმიდამო მიწაზე გასაშენებლად მივცეთ 1.000 ძირი მანდარინი.

კოლექტივის განმტკიცებისა და უხვი მოსავლის შედეგად კოლმეურნის შემოსავალი გასულ წელთან შედარებით ერთი-ორად გაიზარდა.

კოლმეურნე **პროკ. მალაშხიამ** შეიძინა ორსართულიანი სახლი, ლამაზი სახლი წამოჭიმა აგრეთვე **მალაქი მალაშხიამ, ილია მალაშხიამ.**

ნიკელის საწოლი კრაოტი შეიძინეს. — **კ. კვარაცხელიამ, ანდ. ლუკავამ, ისაკი ლუკავამ** და სხვებმა.

სოფ. ნაკიფუს სტალინის სახ. კოლექტივის წევრები მტკიცედ დაადგნენ შეძლებულობის გზას.

ყოველივე ეს წარმატება მოვიპოვეთ სას. სამ. არტელის სტალინური წესდების განხორციელების გზით.

მიღწეული წარმატებებით თვითკმაყოფილებას არ ვიძლევით. სტახანოვური მუშაობის ფართოდ გამოყენებით 1936 წ. მივაღწევთ შრომის კიდევ უფრო მაღალ-ნაყოფიერებას და უხვ მოსავალს.

იას. მალაშხია.

□ □ □

ახალი რეკორდები

100-ის ნაცვლად 210

„საქართველოს ჩაის" სამტრედიის მექანიკურ სახელოსნოს ახალგაზრდა ზეინკალმა **მიხეილ არველაძემ** სტახანოვურ მეთოდის დაუფლებით 100 ცალი საკისურის ნაცვლად 210 ცალი დაამზადა. გამოშვებული პროდუქცია კარგი ხარისხისაა. თუ წინათ მ. არველაძის ხელფასი 264 მანეთი იყო, ახლა 400 მანეთზე მეტს უდრის.

გ. ხაბეიშვილი.

○

ნორმის ორჯერ გადაჭარბება

ტფილისის სპილენძის ქარხნის სატკეცი საამქროს მეორე ბრიგადამ (ბრიგადირი **ბ. ახობაძე**) 9 დეკემბერს დაამყარა ახალი რეკორდი. გეგმით ბრიგადას 7 საათში უნდა გამოეშვა 3,2 ტონა მზა სპილენძი. ფაქტიურად გამოუშვა 6,7 ტონა.

უნდა აღინიშნოს, რომ 1904 წლიდან ამ ქარხანას არ ახსოვს სპილენძის გლინვის ასეთი მაჩვენებელი. ამხ. ახობაძე „კომუნისტის" დამკვრელი მოწერია.

მაღალი მაჩვენებლები

სტალინის სახელობის ორთქლმავალთა შემკეთებელი ქარხნის სატენდერო საამქროში 5 კაცისაგან შემდგარმა კომკავშირულმა ბრიგადამ ამხ. **ირაკლი უხურგუნაშვილის** ხელმძღვანელობით 9 დეკემბერს № 2466 ორთქლმავალის ტენდერზე სამი საათის მუშაობით გააკეთა 78 საათის სამუშაო. გეგმა შესრულდა 520 პროცენტით. ხელფასად 12 მანეთის და 75 კაპ. ნაცვლად, 66 მან. 32 კაპ. გამოიმუშავა.

ამწყობ საამქროში კომკავშირელმა ზეინკალმა ამხ. **გიორგი ოსიპოვმა** 42 საათში გასაკეთებელი კომბინირებული კრანი 7 საათში გააკეთა. გეგმა შესრულდა 600 პროც. 6 მანეთის მაგიერ 43 მანეთი გამოიმუშავა.

მჭედელმა ამხ. **ძულიაშვილმა** და მისმა მეურთვემ ამხ. **ციკორიამ** ნორმით გათვალისწინებული 16 ცალის მაგიერ დაამზადეს 76 ცალი ლატანის ლილვი. გეგმა 475 პროც. შეასრულეს. 14 მანეთის ნაცვლად გამოიმუშავეს 66 მანეთი.

დ. ჯღარკავა.

□ □ □

ტფილისის „ავტოტრანსმა" შეასრულა წლიური გეგმა

ტფილისის „ავტოტრანსს" გეგმით წელს 451570 მგზავრი უნდა გადაეყვანა. მიუხედავად იმისა, რომ წლის მესამე კვარტალში საგრძნობლად ჩამორჩა, მეოთხე კვარტალში, სტახანოვური მეთოდის ფართოდ დანერგვით, შესძლო არამცთუ მესამე კვარტალის ჩამორჩენის შევსება, არამედ წლიური გეგმაც კი ვადამდე გადაჭარბებით შეასრულა.

10 დეკემბრისათვის სულ 4523657 მგზავრი გადაიყვანა, რაც გეგმის 100,2 პროცენტს უდრის.

როგორც აღნიშნულია, ასეთი შედეგი მიღწეულია მუშაობის სტახანოვური მეთოდის გამოყენებით, რომლის ყოველდღიური დანერგვით ტფილისის „ავტოტრანსის" სტახანოველები აჭარბებენ მანქანების სადღეღამისო გარბენის ნორმებს გადაჭარბებას.

მაგალითად,—გარბენის სადღეღამისო ნორმის -190 კილომეტრის ნაცვლად, იძლევიან 246 კილომეტრს, ხოლო ცალკე შოფერები მეტსაც აღწევენ; კერძოდ ამხ. **გელაძე** და **ზუბენკო** გორკის ქარხნის მანქანაზე 190 კილომეტრის ნაცვლად დღეღამეში იძლევიან 306 კილომეტრს, **არიგორიევი** და **გორბატკო** კი „ზისის" მანქანაზე—360 კილომეტრს.

□ □ □

წერილი რედაქციის მიმართ

„კომუნისტის" 11 დეკემბრის ნომერში მოთავსებულ ჩემს წერილში „ლიტერატურული მემკვიდრეობის შეფასებისათვის", მოყვანილია შემდეგი ციტატა ამხ. **ფ. მახარაძის** ერთ-ერთ წერილიდან: „ან და ერთი კაცმა თქვას, როგორ შეიძლება, რომ ველურ, მოშიშარ და მხდალ ხალხს ისეთი მდიდარი ლიტერატურა შეექმნას, რომელსაც ყველა ერი შენატროდეს. არა, აქ რაღაც უხერხული და უადგილო ოინბაზობაა ან და სრული გაუგებრობა, მაგრამ უფრო კი ოინბაზობა".

ამ ციტატის აზრი ქართველი ხალხის ველურობასა და სიმხდალეზე ჩემ მიერ უნებლიედ, შეცდომით, მიწერილი აქვს თვით ამხ. ფ. მახარაძეს; **ნამდვილად** კი ეს აზრი ქართველი ხალხის შესახებ **ომ-ს** ეკუთვნის და არა ამხ. ფ. მახარაძეს (იხ. ფ. მახარაძე, თხზულებათა კრებული, 1924 წელი, ტომი I, გვ. 373—374). მაშასადამე, ჩემი წერილის ის ადგილი, რომელიც ომ-თან ამხ. მახარაძის კამათს შეეხება, მთლიანად ზედმეტია, დაბეჭდილია შეცდომით და მხედველობაში არ უნდა იქნას მიღებული.

ვალ. მგალობლიშვილი.

დოც. მ. ნოდია

მეცნ. აკად. საქ. ფილიალის გეოფიზიკური ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე.

გეოფიზიკა—სოციალისტური მშენებლობის სამსახურში

დედამიწის ქერქის შემადგენელი ნაწილების საფუძვლიანი შესწავლას მრავალმხრივი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს განსაკუთრებით დღევანდელ პირობებში, როდესაც ბოლშევიკური ტემპებით ვითარდება ჩვენი სოციალისტური მშენებლობა.

სამთო მრეწველობისათვის საჭიროა ვიცოდეთ სხვადასხვა მადნეულობის სივრცითი გავრცელება დედამიწის ქერქში. კაპიტალურ ნაგებობათათვის, როგორიცაა ჰიდროელსადგურები, ხიდები, სატრანსპორტო გზები. ვეებერთელა შენობები და სხვა, საჭიროა ზუსტად ვიცოდეთ მოცემულ ფართზე დედამიწის ქერქის შემადგენელ ნაწილების გავრცელება, რომ მათი საფუძვლები აგებულ იქნას დედამიწის ქერქის საიმედო ფენზე.

დედამიწის ქერქის ასე ზუსტად გამოკვლევა წინად მთლიანად სწარმოებდა სხვადასხვა სამთო სამუშაოთა და ბურღვათა საშუალებით, რაც დაკავშირებულია ხოლმე დიდ და ზოგჯერ გაუმართლებელ ხარჯებთან. ამჟამად აღნიშნული საკითხების წარმატებით გადაწყვეტა ხდება. გეოფიზიკის მეთოდების საშუალებით და ამრიგად ძვირად ღირებულ სამთოსამუშაოთა და ბურღვათა გამოყენების აუცილებლობა დაყვანილია მინიმუმამდე.

გეოფიზიკის მეთოდებით დედამიწის ქერქის შესწავლა წარმოადგენს მეცნიერების დარგს. რომელიც უაღრესად განვითარდა ამ უკანასკნელ 15-20 წლის განმავლობაში. ამ მეთოდების უპირატესობა იმაში მდგომარეობს. რომ მათი შემწეობით [illegible] ამ [illegible] აწარმოებენ ხოლმე დედამიწის ზედაპირზე სათანადო ხელსაწყოებით და არავითარი მიწის სამუშაოთა წარმოება აქ არ არის საჭირო.

ამიტომაც გეოფიზიკის მეთოდებით დედამიწის ქერქის შესწავლა ხდება შეუდარებლად უფრო იაფად, ვიდრე გეოლოგიურ საძიებო მეთოდებით.

ცხადია, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება გეოფიზიკურ და გეოლოგიურ საძიებო მეთოდების ერთმანეთისადმი დაპირისპირება; პირიქით, საჭიროა მათი რაციონალურად გამოყენება ერთ და იმავე საკვლევ ობიექტზე.

გეოფიზიკის მეთოდები ჩვენში ვითარდება სწრაფი ტემპებით. გეოფიზიკის მიღწევებს კაპიტალისტური ქვეყნები სრულიად არ აქვეყნებენ. რადგან მათ ხშირად აქვთ სამხედრო ხასიათის მნიშვნელობაც. გარდა ამისა კაპიტალისტურ ქვეყნებში გეოფიზიკის მეთოდებით მუშაობა მოქცეულია სხვადასხვა კერძო ფირმების ხელში, რომელნიც, ცხადია სპეკულიატიური მოსაზრებით უმალავენ ერთმანეთს თავიანთ მიღწევებს.

რა თქმა უნდა სულ სხვა პირობებია შექმნილი გეოფიზიკის მეთოდების განვითარებისათვის საბჭოთა კავშირში, სადაც ამის გამო ეს დარგი მეცნიერებისა სწრაფად ვითარდება.

საბჭოთა კავშირის სხვადასხვა სპეციალურ ინსტიტუტში მიმდინარეობს გაცხოველებული კვლევაძიებითი მუშაობა არსებული გეოფიზიკურ მეთოდების დამუშავებისა და ახალი მეთოდების გამოგონების ხაზით: პარალელურად ამ ინსტიტუტებში სწარმოებს ზუსტი და ძვირფასიანი ხელსაწყოების კონსტრუირებაც. ამ მიმართულებით მიღწევები იმდენად სერიოზულია. რომ ზოგიერთი ხელსაწყოები თავისი კონსტრუქციული უპირატესობებით გაცილებით უფრო მაღლა სდგას, ვიდრე უცხოეთში გაკეთებული.

ასეთი ხელსაწყოთა რიცხვს ეკუთვნის საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის სეისმოლოგიური ინსტიტუტის კონსტრუქციის საველე ელექტრო სეისმოგრაფები: საბჭოთა კავშირში გაკეთებული საველე მაგნეტური სასწორები არაფრით არ ჩამოუვარდება ასეთებს გერმანიაში დამზადებულს და სხვ.. გეოფიზიკის ძვირფასიანი ხელსაწყოების უცხოეთიდან შემოზიდვის აუცილებლობა წინად წარმოადგენდა მეტად დიდ დაბრკოლებას გეოფიზიკურ მეთოდების განვითარებისა და გამოყენების საქმეში, მაგრამ ეხლა ეს დაბრკოლება უკვე სავსებით დაძლეულია.

საკავშირო სამეცნიერო აკადემიის საქართველოს ფილიალის სისტემაში არსებული გეოფიზიკური ინსტიტუტი. რომელიც ტფილისში ჩამოყალიბებულ იქნა 1933 წლის მიწურულში, ეკუთვნის სწორედ იმ სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტთა რიცხვს, რომელნიც უმთავრესად მუშაობენ გეოფიზიკის ზემოხსენებულ ხასიათის საკითხებზე. ინსტიტუტის სათავეში ჩაყენებულ იქნენ ისეთი გამოჩენილი სპეციალისტები, როგორიც პროფ. პ. მ. ნიკიფოროვი, ცნობილი გეოფიზიკოსი, პროფ. ნ. ი. მუსხელიშვილი—ცნობილი მათემატიკოსი: ორივენი — საკავშირო მეცნიერ. აკადემიის წევრები—კორესპონდენტები.

ინსტიტუტი პირველ ხანებში განიცდიდა მაღალ კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტების დიდ ნაკლებობას მაგრამ ამჟამად ეს საკითხი მოგვარებულად უნდა ჩაითვალოს. მოსკოვსა და ლენინგრადში მომზადებულ იქმნა მთელი რიგი ახალგაზრდა სპეციალისტებისა ექსპერიმენტალურ გეოფიზიკის სხვადასხვა დარგში, რომლებმაც უკვე დაამთავრეს წარმატებით საკავშირო სამეცნიერო აკადემიის ასპირანტურა და შეუდგენ მუშაობას გეოფიზიკურ ინსტიტუტში. ესენი არიან: ა. ცხაკაია, ა. ბოხნიკაშვილი. მ. აბაკელია, გ. თალთაძე, ბ. ბალავაძე. ვ. ქებულაძე, რომელთა შორის უმრავლესობა კომკავშირელებია.

გარდა ამისა ინსტიტუტი საკმაოდ უზრუნველყოფილია ყველა საჭირო ზუსტი ხელსაწყოებით, რომელნიც თითქმის მთლიანად დამზადებულია საბჭოთა კავშირში. ამ ხელსაწყოების დახმარებით ჯერ კიდევ შარშან ზაფხულში ჩატარებულ იქმნა მნიშვნელოვანი საექსპედიციო მუშაობანი, რომელთა შედეგები უკვე გამოყენებულ იქმნა მთელ რიგ გეოლოგიურ საძიებო ხასიათის საკითხების გადასაწყვეტად ჩვენში, სახელდობრ; გამოკვლეულ იქმნა ძამის რკინის ბუდობი, მაგნეტურ ანომალიები ცედანში, უწლევში, ნინისაში, ხრამში, წედისში, ნაგომარში, ჭიათურაში, აღმოჩენილ იქმნა ძლიერი მაგნეტური ანომალიების წყება ლანჩხუთის რაიონში: ელექტრულ მეთოდით გამოკვლეულ იქმნა პირიტის ბუდობები მექვენაში, სეისმური და ვარიაციონურ გრავიმეტრიულ მეთოდებით გამოკვლეულ იქმნა მცირე შირაქის ნავთის ბუდობები.

ყველა აღნიშნული მუშაობანი უკვე მზადაა დასაბეჭდად. აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წელს ხსენებულ მეთოდებს დაემატა აგრეთვე რადიოაქტიური და საქმიანი-გრავიმეტრიული მეთოდები, ასე რომ ამჟამად ინსტიტუტში ჩამოყალიბებულია ექსპერიმენტალურ გეოფიზიკის თითქმის ყველა დარგები: ელექტრომეტრია, მაგნეტომეტრია, გრავიმეტრია (ვარიაციონური და საქანიანი), სეისმომეტრია, რადიომეტრია; მიმდინარე წელს განსაზღვრულია გეოთერმიის დარგის ჩამოყალიბებაც. უკვე მოთავდა სპეციალურ ლაბორატორიის შენობის გადაკეთება, სადაც მოწყობილია სპეციალური სადგამები ხელსაწყოებისათვის და დამხმარე მოდელები ცდებისათვის.

ამავე დროს ინსტიტუტის თეორიულ გეოფიზიკის სექტორმა, რომელსაც უშუალოდ ხელმძღვანელობს ნ. ი. მუსხელიშვილი, დაამუშავა მეტად მნიშვნელოვანი საკითხები დრეკადი ტალღების გავრცელების შესახებ სხვადასხვა სახის სივრცეებში. ზოგიერთი ამ მუშაობათაგანი გადაცემულია უკვე დასაბეჭდად.

რაც შეეხება გეოფიზიკური ინსტიტუტის სეისმური სამსახურის სექტორს, რომლის შემადგენლობაში შ ის ტფილისის ცენტრალური და რეგიონალური სეისმური სადგურები გორში და ონში, უნდა აღინიშნოს. რომ მის მუშაობას დაეტყო საგრძნობი გამოცოცხლება ფილიალის სისტემაში გადასვლის შემდეგ. პირველყოვლისა საბოლოოდ დამუშავებულ და დაბეჭდილ იქმნა ძველი 1928—1933 წლების დაკვირვებითი მასალები. ტფილისის ცენტრალური სეისმური სადგური უზრუნველყოფილია მიწის ძვრის ჩამწერ ხელსაწყოების (სეისმოგრაფების) მთელი რიგი სერიებით, რომელთა შემწეობით ხდება რეგისტრაცია როგორც შორეულ, ისე ახლობელ მიწის ძვრებისა.

რეგიონალური სადგურებიც მუშაობენ სავსებით ნორმალურად. რადგანაც მათი მუშაობათა შემოწმება რეგულირება სწარმოებს ტფილისის ცენტრალურ სადგურიდან სპეციალისტების უშუალო მივლინებით. აღნიშნული სექტორი ცნობილი სეისმოლოგის ე. ბიუსის ხელმძღვანელობით ამჟამად აწარმოებს მეტად საპასუხისმგებლო საკვლევო ძიებითი მუშაობას — ამიერკავკასიის ტერიტორიის სეისმური რაიონირებას, რასაც დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს ამა თუ იმ რაიონში შესაბამ სეისმომძლე შენობების აგებისათვის, ე. ი. ასეთი შენობები მიწისძვრის დროს არ დაინგრევიან.

მეფისა და მენშევიკების მთავრობა სრულიად არ აქცევდა ამ გარემოებას ყურადღებას, რის გამო ამა თუ იმ რაიონში ამ უკანასკნელის სეისმური პირობებისათვის შეუფერებელი შენობები ადვილად ინგრეოდა მიწისძვრის დროს, რასაც მოსდევდა დიდძალი მსხვერპლი, კერძოდ ლენინაკანის მიწისძვრის მძიმე შედეგები თავის მხრივ შედეგია მეფის მთავრობის სრული უყურადღებობისა შენობების სეისმომძლეობის საკითხისადმი.

ლენინაკანში მიწისძვრის შემდეგ საბჭოთა ხელისუფლების მიერ აგებული შენობები გაუძლებენ მომავალში მოსალოდნელ მიწისძვრებს, რადგან მათი აგების დროს გათვალისწინებულ იქმნა ამ რაიონის სეისმური პირობები.

კინოს 40 წლისთავი

ახლო ხანში სრულდება კინოაპარატის გამოგონების ორმოცი წლისთავი. ამას წინათ გაზეთ „რაბოჩაია მოსკვას“ თანამშრომელი ტელეფონით ესაუბრა მოსკოვიდან პარიზში კინოაპარატის გამომგონებელს ლუი ლიუმიერს.

კორესპონდენტის შეკითხვაზე ლუი ლიუმიერმა უპასუხა:

— როდესაც გამოვიგონე ჩემი პირველი კინოაპარატი, მე მაინტერესებდა მხოლოდ მოძრავი ფოტოს პრობლემა. ვერასოდეს ვერ ვიფიქრებდი, რომ კინემატოგრაფი გადაიქცეოდა იმად, რაც ახლა არის.

ლუი ლიუმიერი თავისი შვილიშვილით.

არასოდეს არ მიმიტოვებია მუშაობა კინოაპარატზე, ვცდილობდი გამეუმჯობესებია როგორც საპროექციო, ისე გადამღები კინოაპარატების ტექნიკა. ამჟამად ვამთავრებ მუშაობას ჩემს ახალ გამოგონებაზე — მოცულობითი სტერეოსკოპურ კინოზე, რომელსაც რელიეფურ კინემატოგრაფს ვუწოდებ.

ყველა წინანდელი ცდისაგან განსხვავებით, გადაღებას ვაწარმოებ სპეციალურად ჩემს მიერ გამოგონებული კინოაპარატით, რომელიც ერთდროულად დროს საგნის ორ გამოხატულებას იძლევა. შემდეგ ეს გამოხატულება ისახება ორ ეკრანზე. ახლანდელი თეთრი ეკრანისაგან განსხვავებით, ჩემი ეკრანები ფერადია—ერთი ცისფერი, მეორე კი ყვითელი. ყვითელი და ცისფერი ეკრანების ერთმანეთთან შეერთება, ჩვენი მხედველობის განსაკუთრებული კანონების წყალობით, რელიეფობის შთაბეჭდილებას იძლევა. თავისთავად ცხადია, რომ მაყურებელი ეკრანს უნდა უყურებდეს განსაკუთრებული სათვალეებით, ურომლისოდაც საერთოდ შეუძლებელია კინოს რელიეფობის მიღწევა.

ჩემმა გამოგონებამ უკვე გაიარა ლაბორატორული გამოცდების ყველა სტადია და დამაკმაყოფილებელი შედეგი მოგვცა. ახლა გადავწყვიტე ჩემი გამოგონება საზოგადოების სამსჯავროს წინაშე გამოვიტანო.

ჩემი ახალი აპარატის საშუალებით უკვე გადაღებულია ორი ფილმი: ერთი მხატვრული, მეორე დოკუმენტალური. ორივე ხმოვანი და ფერადსურათოვანია. გადავწყვიტე დეკემბრის ბოლოს ამ სურათების საჯაროდ ჩვენება პარიზის ერთ-ერთ კინემატოგრაფში. ეს იქნება ხმოვანი, ფერადი, მოცულობითი კინო.

უსაზღვროდ გამახარა იმ მრავალრიცხოვანმა მისალმებებმა, რომლებსაც საბჭოთა კავშირის ყველა კუთხიდან ვღებულობ. მაკვირვებს ის გაქანება, რომელიც თქვენში კინოს იუბილეს ეძლევა, კერძოდ ძლიერ ამაღელვა—ბ. შუმიაცკის გულინდელმა მისალმებამ და საბჭოთა კავშირში მიპატიჟებამ.

მე 72 წლისა ვარ. ამჟამად თავს კარგად ვერ ვგრძნობ, ამას გარდა ძლიერ დავიღალე უკანასკნელ გამოგონებაზე მუშაობით. ამიტომ დიდად ვწუხვარ, რომ არ შემიძლია ვიმოგზაურო საბჭოთა კავშირში. მაგრამ თუ ჩემი ჯანმრთელობა გაუმჯობესდა, აუცილებლად ვესტუმრები თქვენს ქვეყანას, რომელსაც დიდი ინტერესით ვეპყრობი.

გთხოვთ გადასცეთ ჩემი მხურვალე მადლობა შუმიაცკის და ყველა თქვენს მოქალაქეს, ვინც გაიხსენა წყნარი გამომგონებელი მისი იუბილეს დღეს.

□ □ □

ჩვენ გვწერენ

მოგვეცით პირველი მოთხოვნილების საგნები

სოფელ ზანის (ცხაკაის რაიონი) სასოფლო საბჭო 700-ზე მეტ კომლს აერთიანებს, კომლთა 95 პროცენტი კოლმეურნეობაშია. აქ უმთავრესი კულტურა არის ჩაი. სოფ. ზანაში მოსახლეობის კოოპ. მომსახურება სუსტია. საჰაიო გამოსაღებს მშრომელ მოსახლეობაში ყოველწლიურად ავროვებენ, ყოველდღიური მოთხოვნის საგნები — ნავთი, ასანთი, მარილი, საპონი და სხვა კი — სასოფლო-სამომხმარებლო საზოგადოებას არა აქვს. მანუფაქტურაზე ხომ ლაპარაკიც მეტია.

ზანის სასოფლო-სამომხმარებლო საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარე ცხვიტავა არავითარ ზომებს არ ღებულობს. მოსახლეობა ნავთსა და მარილს მოსაზღვრე სასოფლო-კოოპერატივიდან იზიდება. გვინდა ვიცოდეთ, ქალაქ ცხაკაის რაიკავშირი მიიღებს თუ არა რაიმე ზომებს?

ზანელი

ფოსტა-ტელეგრაფი უყურადღებოდ

ვანის რაიონს აქვს ფოსტა-ტელეგრაფის შენობა და ჰყავს ამ დაწესებულების თანამშრომლები. მაგრამ განა მარტო ეს კმარა?

ტელეფონის არც ერთი აპარატი არ მუშაობს.

რადიო დადუმებულია.

ფოსტაში ვერც მარკებს იშოვის კაცი, ვერც კონვერტს. ვისაც წერილის ან ამანათის გაგზავნა უნდა, რომელიმე მეზობელ რაიონში უნდა წავიდეს.

ფოსტა-ტელეგრაფის გამგემ გრიშა ნაფეტვარიძემ დამტარებლად ქურდი ირაკლი ეფრემიძე აიყვანა. ქურდმა თავისი ვერ მოიშალა. ხელისმომწერთა 500 მან. წაიღო და გაიპარა. სანამ იპოვიდნენ, ფული შეიჭამა. ნაფეტვარიძემ ბოროტმოქმედს ხელი დააფარა და დაუსჯელი დასტოვა.

ფოსტა-ტელეგრაფის გამგე ნაფეტვარიძესაც ხელს აფარებენ. მაგრამ ვინ?

აკ. ქორჩხაძე.

გამოუქვეყნებელი წერილების კვალდაკვალ

„გამფლანგველს მოხსნა აკმარეს“

რედაქციაში ამ სათაურით შემოსული წერილის ავტორი გვატყობინებდა, ილემის (ჯუღელის რაიონი) სასოფლო საბჭოს ფინმოშვავე დიმიტრი შალამბერიძეს სახელმწიფო თანხების გაფლანგვისათვის სამუშაოდან მოხსნა აკმარესო.

რედაქციამ აღნიშნული წერილი გამოსარკვევად და ზომების მისაღებად გადაუგზავნა ჯუღელის რაიპროკურორს ამხ. თოფურიას, რომელიც გვატყობინებს, რომ წერილში აღნიშნული ფაქტები დადასტურდა და შალამბერიძე მიცემულია პასუხისგებაში.

„სისუფთავეს არ იცავენ“

ამ სათაურით შემოსული წერილის ავტორი სამტრედიის რაიონიდან გვაცნობებდა, რომ ს. გომის სასადილოში ანტისანიტარია გამეფებული: სასადილოს თანამშრომლებიც სისუფთავის დაცვას ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენო.

რედაქციამ აღნიშნული წერილი გამოსარკვევად და ზომების მისაღებად გადაუგზავნა სამტრედიის რაიაღმასკომს. ეს უკანასკნელი გვატყობინებს, რომ წერილში აღნიშნული ფაქტები დადასტურდა. სანიტარულმა ინსპექციამ სასადილოს გამგე კ. ჩაჩუა დააჯარიმა 100 მანეთით და წინადადება მისცა დაიცვას სისუფთავე.

მეცხოველეობის გამოფენა

ფოტომონტაჟი რ. აკოფოვისა

სურათზე: 1) ტფილისის რაიონის ამხ. ფ. მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის გერმანული ჯიშის საუკეთესო ძროხა—„სონია“, 2) ამხ. სუხიშვილის სახელობის კოლმეურნეობის თუშური თხა; 3) კოლმეურნე ათვალიერებს გამოფენაზე გამოტანილ რძის პროდუქტებს, 4) სახ. ჯიშსაშენის უფროსი სპეციალისტი ამხ. ბ. ბაქრაძე ცხვრის საუკეთესო ძაღლებით.

○ ○ ○

12 დეკემბერს ტფილისის რაიონმა ჰიპოდრომზე (დიდუბეში) მოაწყო მეცხოველეობის დიდი გამოფენა. გამოფენაზე მონაწილეობას იღებდა რაიონის მეცხოველეობის 12 საკოლმეურნეო ფერმა, მეცხოველეობის 5 საბჭოთა მეურნეობა და ტფილისის ზოოპარკი.

გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ძროხები, ბუღები, ცხენები, კამეჩები, ხარები, ცხვრები, თხები, ღორები და ძაღლები. ჯიშების მიხედვით: შვიცი, წითელ გერმანული, ჰოლანდიური, ხევსურული და ადგილობრივი ჯიშები.

გამოფენის ყურადღება მიიპყრო ნორიოს საბჭოთა მეურნეობის შვიცის ჯიშის ბუღამ: ტანად დიდი, ლამაზი, წონით 950 კილოგრამი; აგრეთვე გლდანის ფრუნზეს სახელობის კოლმეურნეობის სასაქონლო ფერმის შვიცმეტის ჯიშის ბუღამ. განსაკუთრებული შთაბეჭდილება დასტოვა მახარაძის კოლმეურნეობის ფერმის „წითელი გერმანულ“ ჯიშის ძროხამ, რომელიც დღეში იძლევა 24 ლიტრ რძეს.

გამოფენა დაათვალიერეს მიწათმოქმედების სახალხო კომისრის მოადგილემ ამხ. გვარამიამ და მეცხოველეობის საბჭოთა ტრესტის დირექტორმა ამხ. მიქელაძემ. გამოფენაზე იყვნენ პარტიის და მთავრობის რაიონული ხელმძღვანელები. დაესწრნენ აგრეთვე ზოოვეტ.-ინსტიტუტის სპეციალისტები და სტუდენტები. ა.-კ. და საქართვ. უმაღლესი კომუნისტური სას.-სამ. სკოლების სტუდენტები, რაიონის მუშა-მოსამსახურეები და კოლმეურნეები.

გამოფენაზე გაიმართა ცეკვა, თამაში, ჭიდაობა, დოღი. უკრავდა მუხრანის ტელმანის სახელობის კოლმეურნეობის სასულე ორკესტრი.

რაიონულ გაზეთმა გამოუშვა სპეციალური გაზეთი.

დასასრულ გაიმართა საზეიმო სხდომა. იქვე მოხდა დაჯილდოვება.

დაჯილდოვებას საფუძვლად დაედო მეცხოველეობის სახელმწიფო გეგმის შესრულება, ცხოველის პროდუქტულობის ზრდა, გამოზამთრებისათვის მომზადება და სხვ.

დააჯილდოვეს მარტყოფის მარქსის სახელობის კოლმეურნეობის ფერმის გამგე ბესო კირეულაშვილი (ჯიბის საათით), იმავე სოფლის ენგელსის სახელობის კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმის მწყემსი შაქრო ნიკოლეიშვილი, ავჭალის „ზაჰესის“ სახ. კოლმეურნეობის გამგე გვალია, ახალსოფლის, ნორიოს და მუხრანის საბჭოს თავმჯდომარეები, მიწვანის უფროსი ზოოტექნიკოსი ნამიჩეიშვილი და სხვ.

მადლობა გამოეცხადათ საბჭოთა მეურნეობების დირექციებს.

▽ ▽ ▽ ▽ ▽ ▽ ▽ ▽

ამხ. ფ. მახარაძე სტუდენტთა ქალაქში

13 დეკემბერს, ნაშუადღევის 2 საათზე სტუდენტთა ქალაქს ესტუმრა საქ. ცაკის თავმჯდომარე ამხ. ფ. მახარაძე. ამხ. მახარაძემ დაათვალიერა სტუდენტთა საერთო საცხოვრებლები, საავადმყოფო-პოლიკლინიკა, ფაბრიკა-სამზარეულო თავისი ლაბორატორიით. მექანიკური სამრეცხაოს მშენებლობა და სხვ.

ამხ. მახარაძე დაწვრილებით გაეცნო სტუდენტთა ქალაქში არსებულ რეჟიმს. მას განსაკუთრებით აინტერესებდა სტუდენტთა საყოფაცხოვრებო პირობები, კულტურული მომსახურება, კვების საკითხი, სადილების ხარისხი, კალორიანობა, ფასები და სხვ.

გამოირკვა, რომ სტუდენტთა ქალაქს არა აქვს კლუბის შენობა, არ აწარმოებს გამწვანება, და სტუდენტთა ქალაქის გასწვრივ გზის მშენებლობა.

ამხ. მახარაძემ სტუდენტთა ქალაქის დირექციას დაავალა მეტი ყურადღება მიაქციოს სტუდენტთა ქალაქის კეთილმოწყობისათვის წარმოებულ მუშაობას და რეგულარულად მიაწოდონ მას ცნობები ამ მუშაობის მიმდინარეობაზე.

□

სამი ბავშვის დაბადება

ქუთაისი. 10 დეკემბერს პელობუაძეს ეყოლა სამი ბავშვი — ორი ვაჟი და ერთი ქალი, ბავშვები ნორმალურად განვითარებულნი და ჯანმრთელნი არიან.

ა.-კ. შეჯიბრება ქართულ ჭიდაობაში

12 დეკემბერს ლენინის სახელობის სასპორტო დარბაზში თავი მოიყარეს სამი მოძმე რესპუბლიკის ქართულ ჭიდაობის საუკეთესო წარმომადგენლებმა. ეს პირველი შეჯიბრებაა ქართულ ჭიდაობაში ამიერ-კავკასიის მასშტაბით. შეჯიბრების მონაწილეებს მიესალმა საქართველოს ფიზკულტურის უმაღლეს საბჭოს თავმჯდომარე ამხ. მილშტეინი. შემდეგ ერთმანეთს შეებნენ მეტეიშვილი (საქ.) და ალავერდიანი (სომხ.) ცოცხლად ჩატარებული ფანდები ძალზე საინტერესო ხდის ამ ორი ჯმუხი ვაჟკაცის შეჯიბრებას. მოხერხებული მოგერიებით მეტეიშვილმა წააქცია ალავერდიანი. ერთი წყვილი შეცვალა მეორემ პირველობისათვის ბრძოლამ დიდი ინტერესი გამოიწვია. ერთი მეორეს მოსდევს მოგერიება, შუასარმა და სხვა ფანდები პირველი დღის შეჯიბრებაში გაიმარჯვეს: ტარიელაშვილმა, ცინცაბაძემ ლევიდოვმა, ბოშიანმა, პაპიაშვილმა, ჯანიერდაშვილმა, ბერელაშვილმა და სხვ.



სურათზე: ქართული ჭიდაობის ა.-კ. შეჯიბრების მონაწილენი.

მალარიასთან ბრძოლის ა.-კ. ყრილობა

20 იანვარს ბაქოში გაიხსნება მალარიასთან და სხვა ტროპიკულ დაავადებასთან ბრძოლის ამიერ-კავკასიის მესამე ყრილობა.

მალარიასთან ბრძოლის მეორე ყრილობა გაიმართა ტფილისში 1927 წელს. ამ 9 წლის განმავლობაში დაგროვდა მდიდარი გამოცდილება და ძვირფასი სამეცნიერო მასალა მალარიასთან და სხვა ტროპიკულ დაავადებასთან საბრძოლველად. მიმდინარე მესამე ყრილობის ამოცანაა ამ დაგროვილი შედეგების შეჯამება და დაგროვილი მასალების საფუძველზე მალარიის, როგორც მასობრივი დაავადების სწრაფი ლიკვიდაციის კონკრეტული გეგმის შემუშავება. ეს ამოცანა მოითხოვს როგორც მეთოდური, ისე ორგანიზაციული ხასიათის მთელი რიგი საკითხების გადაწყვეტას.

ჯანმრთელობის ორგანოების მუშაკებს გარდა, ყრილობის მუშაობაში მონაწილეობას მიიღებენ აგრეთვე პროფესიული და სამეურნეო ორგანიზაციების, კოლექტიური და საბჭოთა მეურნეობების წარმომადგენლები—სულ 400-მდე კაცი.

ყრილობაზე მომხსენებლებად და სტუმრებად მოწვეულია საბჭოთა კავშირის მოძმე რესპუბლიკების სამეცნიერო ინსტიტუტების 50 მეცნიერი მუშაკი. მათ შორის პროფესორები პავლოვსკი, მეკლეიშევი (ლენინგრადი), ზრლოდოვსკი, სერგიევი. სკრიაბინი, ეპშტეინი (მოსკოვი), ლიოზერმანი (ხარკოვი), კოროვიცკი (ოდესა), შტაკელბერგი (დონის-როსტოვი), კუშევი (სარატოვი), ისაევი (სამარყანდი), ხოდუკინი (ტაშკენტი) და სხვ.

ყრილობაზე მოსმენილი იქნება სულ 150 მოხსენება.

□

პარტკალენდარი

საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელ პარტორგანოთა განყოფილება წინადადებას აძლევს ქვემოთჩამოთვლილ ამხანაგებს (ქუთაისის და საგარეჯოს რაიონები) 15 დეკემბერს გამოცხადდნენ საქ. კ.პ (ბ) ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელ პარტორგანოთა განყოფილებაში ამხ. დოლიძესთან, მე-3 სართული, ოთახი № 62.

ქუთაისის რაიონიდან

სანდრო დიხამინჯია, სპირიდონ ფოფხაძე, ალექსანდრე ჩიხლაძე, ვლადიმერ გოროზია, კონსტანტინე მინდიაშვილი, გიორგი მარგველაშვილი, ვლადიმერ ჰითანავა, ვლადიმერ მარჯანეიშვილი, ალექსანდრე ალფაიძე, მიტროფანე მამარდაშვილი, ვახტანგ ხეჩინოვი, ვლადიმერ გოგელიძე, ვერა ქყონია, ამბაკო ალასანია, ფირუდილ ზამანოვი, ალექსანდრე კუხიანიძე, შალვა ჩიხლაძე, დავით გვაზავა, სერგო გოგოლაძე, სიმონ სულაბერიძე, ისაკ იაკობაშვილი, ივანე თევდორაძე, კალისტრატე შავანგირაძე, ელენე ბერუაშვილი, კონსტანტინე გერგაია, თამარ საჯაია, ავქსენტი ნუცუბიძე, აპოლონ გოხუა, ალექსანდრე ქათამაძე, ვარლამ გუბელაძე, შალვა ჯიჯიშვილი, გრიგოლ გიორგაძე, კონსტანტინე რუსაძე, ვლადიმერ დარჩია, ნადია ჩიხლაძე, ივანე საკიანცი, ი. მაჭავარიანი, ნიკოლოზ ზავაცკი, კირილე ყორყოლიანი, თედორე ყორყოლიანი, ქსენია ყორყოლიანი, საუგე კამკამი, შალვა ჯანჯღავა, ონისიმე ჯანგავაძე, ვარლამ იმნაძე, ვლადიმერ კაციტაძე, კონსტანტინე მგალობლიშვილი, ვალიკო ბოკელავაძე, ვარლამ კოკელაძე, ვიაჩესლავ იოსელიანი, ვასილ ბრეგაძე, ერასტი მელაძე, მარიამ ელუაშვილი, ვიქტორ კალანდაძე, გერონტი ბრეგაძე, ვლადიმერ ჩუბინიძე, რუბენ შალამბერიძე, გიორგი კვანტალიანი, ლ. აკოფოვა, დავით ჩხეიძე, ვასილ ლეჟავა, ვარლამ მელქაძე, ნოე კუხიანიძე, გალაქტიონ ხარებაძე, მინა კაციტაძე, სერგო აბულაძე, ვარლამ ჯიშკარიანი, ვალერიან ჩიტაიშვილი, კალისტრატე ჯოჯუა.

საგარეჯოს რაიონიდან

პეტრე მურადაშვილი, კონსტანტინე ირანიშვილი, ნიკა მღებრიშვილი, დავით კავთუაშვილი, სტეფანე სტრუჩალინი, გრიგოლ ხუბაშვილი, ვლადიმერ ჭკუასელი, ალექსი ნინიკელაშვილი, ალექსი ჭაჭიაშვილი, ნერსეს დემუროვი, მამია დავითაია, შალვა ფეიქრიშვილი, დარჩო ომიაშვილი, გიორგი ქარსაულიძე, სანდრო ნანუაშვილი, ნიკოლოზ გულალაშვილი, დავით ხოსიტაშვილი, ნიკოლოზ კევლიშვილი, ელენე შათარაშვილი, მურტუს-ოღლი, ივანე ირემაშვილი, გიორგი ჯილაური, დავით ჭიჭინაძე, ივანე დურგლიშვილი.

ხელოვნება

ახალგაზრდა ვირტუოზის კონცერტი

ვიოლინოს დამკვრელი ირაკლი ბერიძე 16 წლისაა. იგი მუსიკალური ტექნიკუმის ერთ-ერთი საუკეთესო მსმენელია, პროფესორ გროსმანის ხელმძღვანელობით. ახალგაზრდა მუსიკოსმა დიდ წარმატებებს მიაღწია. შორშან მისმა გამოსვლებმა მუსიკალური საზოგადოების ყურადღება მიიპყრო. იგი განსაკუთრებული სიყვარულით და მონდომებით იძინს მუსიკალურ ცოდნას, დღითიდღე იზრდება მისი მუსიკალური შესრულების ხარისხი.

სურათზე: ვიოლინოს დამკვრელი ირაკლი ბერიძე თავის მასწავლებელ პროფ. დ. გროსმანთან.

○

12 დეკემბერს სახელმწიფო კონსერვატორიის დარბაზში გაიმართა ირ. ბერიძის კონცერტი, რომლის პროგრამაში შედიოდა: ბახის, გენდელის, ტარტინის, პუნიანის, მოცარტის, მენდელსონისა და თაქთაქიშვილის მეტად რთული ნაწარმოებნი ახალგაზრდა მუსიკოსმა თავისი კონცერტის მთელი პროგრამა მარტივად და დიდის რიტმიულობით შეასრულა. მუსიკალურ ბგერათა განსაკუთრებულ სილამაზეს მიაღწია მოცარტის ნაწარმოების შესრულებისას.

საზოგადოების აღფრთოვანება გამოიწვია ტარტინისა და პუნიანის ნაწარმოებთა შესრულებამ, სადაც ახალგაზრდა მუსიკოსმა გამოამჟღავნა მეტად მდიდარი და ზუსტი ტექნიკა. იშვიათი მუსიკალური სილამაზე.

უნდა აღინიშნოს, რომ ირაკლი ბერიძის მიერ მიღწეული შედეგები მისი შემდგომი განვითარების მხოლოდ პირველი ნაბიჯია. ეჭვს გარეშეა, მას მშვენიერი მომავალი აქვს.

□

შემთხვევები

# აფერისტები. დააპატიმრეს ცეკავშირის თანამშრომელი მ. ი. დიასამიძე (სობჭოს ქ. 199) რომელიც ცეკავშირის სახელით აწარმოებდა ჩხრეკას ხელოსან მეჩექმეებთან. თითქოს ბედლი ტყავის აღმოჩენის მიზნით. ტყავის აღმოჩენისას დიასამიძე იღებდა ქრთამს. მასთან ერთად შეიპყრეს მისი თანამონაწილე ი. ს. გველესიანი (კრების ქ. 47). გამოძიება სწარმოებს.

# ბოროტმოქმედის შეპყრობა. დააპატიმრეს მ. ი. კაშირინი, რომელსაც სოციალისტური საკუთრების დატაცებისათვის მისჯილი აქვს 10 წლით თავისუფლების აღკვეთა. კაშირინი გაქცეული იყო შრომაგასწორების სახლიდან.

# გამფლანგველის დაპატიმრება. დააპატიმრეს ა. გ. ჩიტაიშვილი, რომელსაც 2 ათასი მანეთის გაფლანგვისათვის ქობულეთის მილიცია დაეძებდა.

□

ქრონიკა

— **სახ. უნივერსიტეტის კლუბში.** დღეს, საღამოს 8 ს. გაიმართება ლ. ტოლსტოის გარდაცვალების 25 წლისთავის აღსანიშნავი საღამო. შესავალ სიტყვას წარმოსთქვამს ამხ. ბ. ბუაჩიძე. მოხსენებას „ლევ ტოლსტოის შემოქმედება“ წაიკითხავს ხ. დანელია.

— **ტფ. საბჭოს განათლების განყოფილების ცენტრ. პედკაბინეტი** (მე-14 სკოლა, მახარაძის ქ. 4) 15 დეკემბერს, საღ. 7 ს. მართავს ორ ლექციას: დოც. ვ. კოტეტიშვილის ლექციის გაგრძელება თემაზე: „პოეტიკის სწავლება საშუალო სკოლაში“—ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთათვის. ლ. ცქიფურიას ლექცია რუსულ ენაზე—„ფიზიოლოგთა კონგრესის შედეგები“ — ბუნებისმეტყველ მასწავლებელთათვის.

[illegible] ოპერისა და ბალეტის თეატრი

დღეს, 8 საათ. 0 წუთ.
ფაუსტი და ვალპურგიის ღამე
ხინამ. ი. სოხაძე, ე. დოლიძე, ა. ბუთხუზი, გ. ივანოვსკი, დ. [illegible]

15 დეკემბერს
ახალი 5 წარმოდგ.
რიგოლეტო
ხინამ. ო. იინუა
ე. დოლიძე
პ. ამირანიშვილი
პ. ყვარელაშვილი

16 დეკემბერს
12 საათ. 5 წარმოდგ.
ბალეტი
ფერენჯი
დადგმა
გ. ი. ლიტვინენკოსი

[illegible] „ალმასიანი სარდალი“ და „რაჭიელი“

რუსთაველის თეატრი 1935–36 წ. სეზონი

დღეს
პედინსტიტუტის
18 საათ. 2 წარმ.
კლატონ კრეჩეტი

15 დეკემბერს
20 საათ. 2 წარმ.
კლატონ კრეჩეტი

16 დეკემბერს
2 საათ. 3 წარმოდგ.
in tirannos

მესამე წარმოდგენის დაწყების შემდეგ დარბაზში შესვლა აკრძალულია. მეტაბილი უნდა იყოს.
სალარო ღიაა 11—2 6—9 საათ. დასაწყისი 8 საათზე.

მარჯანიშვილის თეატრი

14 დეკემბერი წარმოდგ. № 41 **ჩატეხილი ხიდი**
15 დეკემბერი წარმოდგ. № 42 **ჩატეხილი ხიდი**

დასაწყისი საღ. 8 საათზე
ბილეთები თეატრის სალაროში დღის 11—2 ს. საღ. 6—9 ს.

[illegible]

სახ. [illegible] 6-30, 8-30, 10-30 — ახალი ხმოვანი ფილმი „ბრძოლა კიევისათვის“ პროგ. კარეში საბჭოთა ხელოვნება № 5
„დამკვრელი“ 6-30, 8, 9-30, 11 დღიურ სიმებ. ორკესტრი — უკანასკნელი დღეები ხმოვანი სურათის „არშაული“
რ. ლიუქსემბურგის სახ. 6-30, 8, 9-30, 11 ჯეანსები დღის 12 ს-დან — ახალი ხმოვანი ფილმი „არშაული“
„26“-ის კომუნ. სახ. 6-30, 8-30, 10-30 — ხმოვანი ფილმი „პეტო“ (პეტერ) პროგრ. კარეში ხმოვ. ჟურნალი „14 დეკემბერი“

მიიღება ხელისმოწერა გაზეთებზე და ჟურნალებზე 1936 წლისათვის

გაზეთების და ჟურნალების დასახელება	პერიოდულობა	ღირებულება ერთი წლით		ღირებულება ექვსი თვით		ღირებულება სამი თვით		ღირებულება ერთი თვით		ცალკეული ნომრის ფასი
		მ.	კ.	მ.	კ.	მ.	კ.	მ.	კ.	კაპ.
გაზეთები:										
1. „კომუნისტი“	ყოველდღიურად	30	—	15	—	7	50	2	50	10
2. „პროლეტარი“ (სომხ. ენ.)	„	30	—	15	—	7	50	2	50	10
3. „ენი-ქენდი“ (თურქულ ენ.)	„	15	—	7	50	3	75	1	25	05
4. „ახალგაზრდა კომუნისტი“	„	30	—	15	—	7	50	2	50	10
5. „ნორჩი ლენინელი“	სამ დღეში ერთხელ	6	—	3	—	1	50	—	50	05
6. „საქართველოს ფიზკულტურელი“	ექვს „ „	9	—	4	50	2	25	—	75	15
ჟურნალები:										
1. „პარტიული მშენებლობა“	თვეში ორჯერ	12	—	6	—	3	—	1	—	50
2. „მშრომელი ქალი“	„ ერთხელ	4	80	2	40	1	20	—	40	40
3. „ბოლშევიკი“	„ „	6	—	3	—	1	50	—	50	50
4. „ახალგაზრდა ბოლშევიკი“	„ „	6	—	3	—	1	50	—	50	50
5. „პიონერი“	„ „	6	—	3	—	1	50	—	50	50
6. „ოქტომბრელი“	„ „	6	—	3	—	1	50	—	50	50
7. „კარმირ-წილერი“ (სომხ. ენ.)	„ „	6	—	3	—	1	50	—	50	50
8. „ენი-ძიუვე“ (თურქულ ენ.)	„ „	6	—	3	—	1	50	—	50	50

ხელისმოწერა უნდა ჩაბარდეს „სოიუზპეჩატს“, ფოსტას, წერილდამტარებლებს, ხელმოწერის შემკრებთ საწარმოებსა და დაწესებულებებში, პოლიტგანყოფილებათა გაზეთების გამომცემლობებს ტრანსპორტზე.

ამ გამოცემებში განცხადებათა მოთავსების საკითხებზე უნდა მიმართოთ საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის განცხადებათა განყოფილებას, „კომუნისტი“, რუსთაველის პრ. № 34. ტელეფ. № 3-51-81.

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ.-ის გამომცემლობა „კომუნისტი“.

სახკინმრეწვის ხსნის კინომსახიობთა კურსებს.

მიღების პირობები:

1. მიიღებიან ახალგაზრდები 18—25 წლამდე.
2. განათლების ცენზი საშუალო.
3. გამოცდები იწარმოებს შემდეგ საგნებში:
   - ა) სახოგ.-პოლიტ. | ათწლედის ფარგლებში.
   - ბ) ზოგადი-ლიტერატ. | ათწლედის ფარგლებში.
   - გ) ზოგადი-ისტორია | ათწლედის ფარგლებში.
   - დ) ფიზიკური განვითარება (გამორკვევა ფიზკულტურული ვარჯიშობისათვის ვარგისობის თვალსაზრისით).
   - ე) ხმა და მუსიკალობა
   - ვ) მეტყველების უნარიანობა ქართულსა და რუსულში
   - ზ) სამსახიობო უნარიანობა (გამორკვევა სამსახიობო უნარიანობისა).
4. მსურველთ შემოაქვთ განცხადებანი შემდეგი საბუთების თანდართვით:
   - ა) განათლების მოწმობა.
   - ბ) მეტრიკული ამონაწერი.
   - გ) ექიმის მოწმობა.
   - დ) სოციალური წარმ. მოწმობა.
   - ე) ორი ფოტოსურათი.
   - ვ) ცნობა სამხედრო სამსახ. დამოკიდებულების შესახებ.
5. გამოცდებზე დაშვებულნი, საკონკურსო გამოცდების შემდეგ ჩარიცხულნი იქნებიან კურსებზე და უზრუნველყოფილნი სტიპენდიით.
6. სწავლის ვადა 2 წელია. კურსდამთავრებული კინო-მსახიობები ჩაირიცხებიან სახკინმრეწვის ფაბრიკის შტატში და უზრუნველყოფილნი იქნებიან საწარმ. მუშაობით.
7. განცხადებები და საბუთების მიღება ყოველდღე 2—4 საათამდე ფაბრიკაში ამხ. ს. სულაკაურის მიერ. აქვე სწარმოებს მიღების დაწვრილებითი პირობების გაცემა.

უკანასკნელი ვადა განცხადებათა მიღებისა არის 30 დეკემბერი

468 3—2 დირექცია.

საქ. სას.-სამ. ინსტიტუტის დირექცია აცხადებს 1933-34 და 1934-35 წლ. სუბტროპიკულ ფაკულტეტის კურსდამთავრებულ დიპლომანტთა საყურადღებოდ,
რომ სადიპლომო შრომების დაცვის სესია დაიწყება დეკემბრის 15-ს დილის 10 საათზე
დეკემბრის 14-ს დღის 12 საათზე შესდგება დიპლომანტთა კონფერენცია. 11688

ქვემოთ ჩამოთვლილი საბუთები დაკარგულია ძ. გ.

პასპორტი № 145043 გიორგი ლოკია[illegible]შვილის სახელზე. 11698

პასპორტი ევთიმე ხანიაშვილის სახელზე. 11695

სტუდენტობის მოწმობა № 356 გიორგი ივანეს-ძე ხუჭუას სახელზე. 17004

გულმოკლული დედა ნატალია კობახიძე, იუწყებიან, რომ 15 დეკემბერს 4 ს. ბორჯომში დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი უძვირფასესი ერთადერთი შვილის

თინა დავითის ას. კიკნაძის

ხსოვნის აღსანიშნავად. 11692

დამწუხრებულნი: სიმონ, ვიქტორ, ტერენტი მურმანის-ძენი გველესიანები, ნადეჟდა ლომიძისა, იულია წერეთლისა ოჯახებითურთ იუწყებიან აღმზრდელი დის

ანეტა მურმანის ას. ბოგსაძის

უდროოდ გარდაცვალებას დაკრძალვა 15 დეკემბერს ს. რცხილათში. 11707

კურორტ აბასთუმნის დირექცია და თანამშრომლები მწუხარებით იუწყებიან ელსადგურის გამგის ინჟინერ

თორნიკე გეწაძის

გარდაცვალებას დაკრძალვა ქ. ზესტაფონში. 11694

უახლოესი მეგობრები და ამხანაგები: კოლია კოკონაშვილი, ლუკა კობრეიძე, სპირიდონ კუტუხიძე და ვირდენ გოგოლაძე ღრმა მწუხარებას გამოსთქვამენ ევგენი ახალაიას მამის

ანტიპო ახალაიას

გარდაცვალების გამო. 11681

გულმოკლული მშობლები: თამარ კოლია კახაძეები შვილებით, ბაბუა ოქროპირ კახაძე შვილებით, ბებია ედუკი, ნინუა შვილებით იუწყებიან

პატარა ნანულას

უდროოდ დაკარგვას. გამოსვენება დღეს 4 ს. კუბანის ქ. 5. 11690

საქ. კავშირგაბმულობის სამმართველოს რადიოგანყოფილების მუშაკები თანაგრძნობას უცხადებენ ამავე განყოფილების უფროსს მ. მ. გვიშიანს მისი დედის

ელისო პეტრეს ასულის

გარდაცვალების გამო. 11705

გულდათუთქული ბიძა სვიმონი, ბიცოლა ევა. ბიძაშვილები: ვალენტი, მავრა, შალვა, ბუხუტი კობახიძეები მწუხარებით იუწყებიან დაუვიწყარ

ელპიტე (ელიჩკა) კობახიძე-ხუხუას

უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა სოხუმში 14 დეკემბერს. 11693

ქ. სტალინირის (სამხ.-ოსეთი) ქართული საშუალო სკოლის დირექცია, პედაგოგიური კოლექტივი და მოწაფეთა მთლიანი შემადგენლობა იუწყებიან დამსახურებული მასწავლებლის

ალექსანდრე ალექსის-ძე

გოდერძოვის

მოულოდნელად გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდა სტალინირში. 11699

ჩიქოვაძე, მჭედლიშვილი, ფირანიშვილი, ჩხაიძე, ერქომაიშვილი, ოყროშიძე, ბარამიძე, ხუციშვილი, მახაბელი, ტოგონიძე, შუკაკიძე, ყამარაულ, ერისთავი, მახაბლიშვილი, კამლაძე, ჭანიშვილი, ცოცხვაია მწუხარებას გამოსთქვამენ გოგი იმხნელის დედის

ალექსანდრას

გარდაცვალების გამო. 11701

დამწუხრებული მარიამ ალექსანდრე, ექიმები ნადია, კოტე ქაჯაიები იუწყებიან საყვარელი შვილიშვილის და დისწულის პატარა

ზაირა ბურჭულაძის

გარდაცვალებას. პანაშვიდი და დაკრძალვა დღეს, ვერის სასაფლაოზე 4½ საათზე. 11691

ქმარი კოწია, შვილები: ბიჭიკო, ვაჟა გული ცოლებით. კატია ჯაფარიძე შვილებით, სიძეებით. მარგარიტა მავარიანი შვილებით იუწყებიან

სადიკო ლუარსაბის ასულ ქიფიანის

გარდაცვალებას. სამოქ. პანაშვიდი დღეს, 7 საათზე, ლერმონტოვის 15 11700

დიღომის სკოლის მასწავლებლები: გიორგაძე, კენჭოშვილი ჯიქიძე, შავლაძე, კუტავა, ჯიქიძე, ქყონია კვაჭაძე, ჭულუხაძე. ჯაფარიძე, სოხლოშვილი მწუხარებას გამოსთქვამენ ამავე სკოლის მასწავლებელ ლოლა ქაჯაიას შვილის

ზაირას

გარდაცვალების გამო. 11708

დედა ნატაშა, ძმა დათიკო, ბიძები: იროდი მიქაბერიძე, ერმილე თათეიშვილი ცოლშვილით. დისშვილი ლუდუნიკა იუწყებიან

ვალენტინა თათეიშვილის

გარდაცვალებას. დაკრძალვა ქუთაისში, 15 დეკემბერს, 4 საათზე, წერეთლის ქ. 30 11696

ცოლი ნინო მშობლები: ალმასხან, ვალენტი. მატრონა ქმარშვილით, ელენე, პავლუშა. ბიძა სევასტი, შვილებით, მარგალიტა ბუაჩიძე ქმარშვილით დისტვილით

გრიშა ქავთარაძის

დაკარგვას პანაშვიდი დღეს 7 ს 25 თებერვლის ქუჩა (ყოფ. ტატიანას) № 7. 11710

მცხეთის პარტიული კომიტეტი და საბჭოს პრეზიდიუმი: თაბუაშვილი, ლორია, ჩაჩხიანი, ქიმოკლიძე, შარაბიძე, მღივანი, მრევლიშვილი, [illegible]შვილი, ფერაძე, მაჩხანელი იუწყებიან პარტკომის, მდივნის დავით იაშვილის ძმის

შაქროს

უდროოდ გარდაცვალებას. 11703

სტ. „კომუნისტი“ კამოს ქ. № 68.

მთავლიტის რწმუნებული ბ. 8577